ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 17 ოქტომბერი, 2019 №246 (8200) ფასი: 60 თეთრი

## გრიგოლ ივანეიშვილი სუსის წინააღმდეგ

გვ.5

ადვოკატი ჩომახაშვილი: „ივანეიშვილმა სუსის აგენტობაზე უარი თქვა და ამიტომ დააკავეს“



16 ოქტომბრიდან

გიორგი კოკოშაშვილი

ქართული საბრძოლო ხელოვნება

ჩვენი ღირსებანი

ფასი გაზეთთან ერთად 18 ლარი




# ბექა მინდიაშვილი: „სააკაშვილის მიერ ბოკერიას დემონიზაცია ამაზრზენი იყო“



გვ.3



ბოკერიას წლებია ვიცნობ და მას ეს პოპულიზმი არ ახასიათებს. რაღაცა რიტორიკული ფიგურა იყო ამ შემთხვევაში ღმერთის ხსენება. საერთოდ არანაირი მნიშვნელობა არ უნდა მივანიჭოთ ამას. არა მგონია, რომ პოპულისტურ კონტექსტში უნდა განვიხილოთ მისი ეს განცხადება. პირადად მას არ ახასიათებს ზომაზე მეტად პოპულიზმი.



## გოჩა ბარნოვი: „პოლიტიკოსები რელიგიის თემას უყურებენ, როგორც საარჩევნო ხორცს“

## კალაძე: „ხაზარაძეს არც ნამუსი აქვს და არც ზნეობა“





## ხაზარაძე: „კალაძის ენა დამარცხებული პოლიტიკოსის ენაა“

გვ.2



გვ.4

## „2020-ში პროდასავლურ ძალებს ჯამში 50%-ზე მეტის მოგროვება შეგვიძლია“

დავით ბერძენიშვილი: „კობახიძის კალკულაციების გაგება ჩემს შესაძლებლობებს აღემატება“

## გიორგი გუგავა: „ქართული ოცნების“ დარჩენა ხელისუფლებაში საფრთხეს შეუქმნის სახელმწიფოებრიობას“



გვ.3

## გრიგოლ ლილუაშვილი: „საქართველოსთვის მთავარ საფრთხეს რუსული ოკუპაცია წარმოადგენს“

გვ.2



### სამართალი

გვ.5

## გოჩა ვეფხვაძის მკვლელობა გახსნილია

5 ბრალდებულზე ძებნა გამოცხადდა



## პოლიციამ ლევან ძნელაძე დააკავა



## გიორგი ერმაკოვი, არჩილ ვანაძე და ეგარსლან ლომაძე პატიმრობაში დატოვეს

## მართლწესრიგის ოფიცრებმა ძველ თბილისში მუშაობა დაიწყეს



ISSN 1987-9385

2 ინგა გრიგოლია ტელეკომპანია „პირველის“ დირექტორი გახდა

4 რამაზ საყვარელიძე: „ნაციონალებთან დგომით „ევროპულმა საქართველომ“ რეიტინგი დაკარგა“

2 დვალი და აქიმიძე რუსთავი 2-ის 60%-ის დასაბრუნებლად სასამართლოს მიმართავენ

6 ერდოღანი ცეცხლის შეწყვეტაზე უარს ამბობს

# გრიგოლ ლილუაშვილი: „საქართველოსთვის მთავარ საფრთხეს რუსული ოკუპაცია წარმოადგენს“

## თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა სუსის უფროსის თანამდებობაზე გრიგოლ ლილუაშვილის კანდიდატურას მხარი დაუჭირა

– საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებსა და საოკუპაციო ხაზს გასწვრივ შექმნილი ვითარება საკმაოდ რთულია და ადგილზე არსებული მყიფე, თუმცა მართვადი სტაბილურობის შენარჩუნება სამსახურის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად ნაწილს წარმოადგენს.

სამწუხაროდ, რუსეთის საოკუპაციო ძალების მხრიდან ყოველდღიურ რეჟიმში ხორციელდება უკანონო ქმედებები, მათ შორის უკანონო ბორდერიზაცია, გადაადგილების უფლების შეზღუდვა, უკანონო დაკავებები და ა.შ. უფრო მეტიც, ეს ინსტრუმენტები ხშირ შემთხვევაში გამოიყენება არა მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოზე, არამედ საერთაშორისო თანამეგობრობაზე ზემოქმედების ერთ-ერთ ბერკეტად.

აღნიშნულის ნათელი დადასტურებაა მიმდინარე წელს სოფელ გუგუტიანთკარში და ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩორჩანას მიმდებარედ განვითარებული მოვლენები; ასევე, საქართველოს მოქალაქეების დავით ბაშარულის, გიგა ოთხოზორიას, არჩილ ტატუნაშვილისა და ირაკლი კვარაცხელიას სიცოცხლის ხელყოფასთან დაკავშირებული საქმეები.

რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების გამოწვევას წარმოადგენს, თუმცა, ბოლო წლების სამწუხარო საერთაშორისო გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ რუსეთის ფედერაციის მიერ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მართული კონფლიქტები წარმოადგენს ოფიციალური მოსკოვის საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს, რომელთან გამკლავებაც საერთაშორისო პარტნიორების სათანადო ჩარევის, მხარდაჭერისა და ადეკვატური რეაგირების გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია, – ამის შესახებ პარლამენტის თავდაცვის და უშიშროების კომიტეტის სხდომაზე გრიგოლ ლილუაშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, ქვეყნის ტერიტორიების ოკუპაცია წარმოადგენს რუსეთის მიერ საქართველოში წარმოებული ჰიბრიდული ომის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს.

– მთლიანობაში, რუსეთი საქართველოში ჰიბრიდული ომის ხუთი ძირითადი ინსტრუმენტით მოქმედებს: საოკუპაციო ძალები და დე ფაქტო რეჟიმები; საინფორმაციო ომი; ე.წ. რბილი ძალა; ეკონომიკური ექსპანსია; ფარული ოპერაციები.

შევჩერდები ეკონომიკური ბერკეტების საკითხებზე, რომელთაც რუსეთი იყენებს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შესაფერხებლად – ეკონომიკურ ექსპანსიას ვგულისხმობ. მიმდინარე კონფლიქტები, ბორდერიზაციის მცოცავი



პროცესი არ არის მხოლოდ ქართული მიწების მიტაცების მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები, ეს გახლავთ პირველ რიგში მიმართული ქვეყნის ეკონომიკის დასუსტებისკენ, ქვეყნის ევროატლანტიკურ სივრცეში გაწევრიანების შანსის შემცირებისკენ და ამას ძალიან ეფექტურად ახორციელებს რუსეთის ფედერაცია, ვინაიდან მიმდინარე არეულობებით და ექსცესებით ცდილობს საქართველოს შეუქმნას არასტაბილური ქვეყნის სტატუსი, სადაც არა მარტო ეკონომიკური ინტერესები და ინვესტიციები, არამედ ადამიანის უფლებებიც კი შესაძლოა, იყოს დაუცველი. სწორედ ეს არის ამ ექსპანსიის მთავარი ამოცანა, – განაცხადა ლილუაშვილმა.

მისი თქმით, სუს-მა საქართველოში უკიდურესად შეამცირა ტერორისტული ორგანიზაციების შესაძლო მხარდამჭერთა რაოდენობა. უსაფრთხოების სამსახურმა მინიმუმამდე დაიყვანა უცხოელი ტერორისტი მებრძოლებისა და ტერორიზმთან დაკავშირებული პირების მიერ ქვეყნის ტრანზიტულად გამოყენების მცდელობები.

ლილუაშვილის განცხადებით, შესაძლებლობებს არ კარგავენ ტერორისტული ორგანიზაციები „თალიბანი“ და „ალ-ქაიდა“.

– მეტიც, ბოლო პერიოდში ავღანეთში შეინიშნება „თალიბანის“ პოზიციების გაძლიერება, რაც საფრთხეს უქმნის ადგილზე არსებულ მშვიდობას და, უპირველეს ყოვლისა, ავღანეთში დისლოცირებულ საქართველოს თავდაცვის ძალებს.

მისი თქმით, ტერორიზმთან, ექსტრემიზმთან და რადიკალიზაციასთან ბრძოლის სფეროში როგორც საქართველოს, ისე ბევრად უფრო დიდი გამოცდილების მქონე ქვეყნებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს უწყებათაშორისი კოორდინაციისა და სამოქალაქო ჩართულობის გაუმჯობესება.

– აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი უწყებისა და სხვა სახელმწიფო უწყებების აქტიური ჩართულობით, შემუშავდა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს 2019-2021 წლების ეროვნული სტრატეგია, რომელიც წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფოს ხედვას ტერორიზმისა და ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით, – აღნიშნა გამომსვლელმა.

დოკუმენტს დიდი შეფასება მისცა ყველა საერთაშორისო ორგანიზაციამ, ვინც თვალს ადევნებდა მუშა პროცესს. აღნიშნული სტრატეგიით სახელმწიფომ მნიშვნელოვნად გადახედა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებს, რის შედეგადაც სამართალდაცვითი და დევნის განმახორციელებელი ფუნქციები პრევენციული მიდგომებით დაბალანსდა.

ლილუაშვილის აზრით, ტერორიზმი, ექსტრემიზმი და რადიკალიზაცია არის ფენომენი, რომელიც საზრდოობს სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის არსებული დაპირისპირებით.

– გასულ წელს საქართველოში იმყოფებოდა გაერო-ს უშიშროების საბჭოს კონტრტერორისტული კომიტეტის აღმასრულებელი დირექტორატის დელეგაცია, რომელთა ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა ქვეყნის მიერ გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციების შესრულების მონიტორინგი.

დირექტორატმა დადებითად შეაფასა საქართველოს უწყვეტი ძალისხმევა ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც გამოიხატა მათ მიერ დადებულ შეფასებებში, – განაცხადა გრიგოლ ლილუაშვილმა.

მისი განცხადებით, კორუფციის კონტროლის მხრივ საქართველო მაღალ პოზიციებს იკავებს მსოფლიოში, პოსტსაბჭოთა სივრცეში კი მხოლოდ ესტონეთს ჩამორჩება, რასაც მათ შორის ადასტურებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს მიერ გაწეული საქმიანობის სტატისტიკა.

– კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში დღემდე მიღწეული წარმატების კვალდაკვალ საჯარო სექტორში კორუფციისა და სამოხელეო დანაშაულის პრევენცია რჩება კვლავ ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად ჩვენი ქვეყნისთვის.

თითოეული ცვლილების მიზანია მოხდეს სახელმწიფო, თვითმმართველი ერთეულების წარმომადგენლებისთვის ინფორმაციის მიწოდება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებზე, ანუ საჯარო მოხელეების, მოსახლეობის ჩართულობა, ანუ ეს არის ყველაზე დიდი პრობლემა დღეს, თანაგრძნობა დამნაშავისადმი და არა პირიქით, – აღნიშნა გრიგოლ ლილუაშვილმა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ხელმძღვანელობს ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოს. სამსახურის კოორდინაციით იგეგმება ქბრბ საფრთხეების შემცირების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის განახლება.

სუსის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს კიბერუსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფლებამოსილებების რეგლამენტირება.

– მნიშვნელოვან რისკს, ასევე, წარმოადგენს სამთავრობო და კრიტიკული ინფრასტრუქტურის ობიექტებზე კიბერშეტევებისა და კიბერსადაზვერვო ოპერაციების განხორციელება.

სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ქვეყანაში არსებული საინფორმაციო-ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის და იმ ინფორმაციული სისტემების დაცვა კომპიუტერული ინციდენტებისგან, რომელთა უსაფრთხო ფუნქციონირებას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისთვის.

შესაბამისად, ჩვენთვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს კიბერუსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფლებამოსილებების რეგლამენტირება. კიბერსივრცისა და ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანია სსიპ ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს დამოუკიდებლობის გარანტიების შენარჩუნება და გაზრდა, – განაცხადა გრიგოლ ლილუაშვილმა.

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა 11 ხმით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის თანამდებობაზე გრიგოლ ლილუაშვილის კანდიდატურას მხარი დაუჭირა.

# კალაძე: „ხაზარაძეს არც ნამუსი აქვს და არც ზნეობა“

## ხაზარაძე: „კალაძის ენა დამარცხებული პოლიტიკოსის ენაა“



გუშინ, 16 ოქტომბერს, კახა კალაძემ მამუკა ხაზარაძე მწვავედ გააკრიტიკა.

– სამარცხვინოა, სირცხვილია ასეთი განცხადებები, მე შემრცხვებოდა მამუკა ხაზარაძის ადგილზე, მაგრამ როგორ უნდა შერცხვეს ადამიანს, რომელსაც არც ნამუსი და არც ზნეობა გააჩნია.

ასე შეაფასა თბილისის მერმა „ლელოს“ დამფუძნებლის განცხადებები „პროგრეს ბანკთან“ დაკავშირებით.

მისი თქმით, ბიძინა ივანიშვილის შესვლა „პროგრეს ბანკში“ განპირობებული იყო მოტივით, გადაერჩინა ბანკი იმ თაღლითებისა და მოძალადეებისგან, რომელთაც სააკაშვილის რეჟიმი წარმოადგენდა.

– ერთადერთი მოტივი, რისთვისაც ბიძინა ივანიშვილმა 22%-იანი წილი შეიძინა და რამდენიმე მილიონი გადაიხადა, იყო ბანკის გადარჩენა და ეს ასეც მოხერხდა. სხვა მას ბანკთან არანაირი შეხება არ ჰქონია საერთოდ.

არანაირ გათეთრებებთან „პროგრეს ბანკს“ კავშირი არ ჰქონია. მეორე, ვთქვათ, რაღაც გადარიცხვები მართლაც განახორციელა ამ ბანკმა, რა შუაშია საერთოდ ბიძინა ივანიშვილი? – განაცხადა კალაძემ.

მან ხაზარაძის განცხადებებს სამარცხვინო უწოდა.

– თუ ბანკი ფულის გათეთრებით იყო დაკავებული, ბატონმა ხაზარაძემ როგორ შეიძინა? არ გიჩნდებათ კითხვები ამასთან დაკავშირებით? 2 წლის მერე გაახსენდა, რომ თურმე ეგეთი ბანკი უყიდია. სამარცხვინოა, სირცხვილია ასეთი განცხადებები.

მე შემრცხვებოდა მის ადგილზე, მაგრამ როგორ უნდა შერცხვეს ადამიანს, რომელსაც არც ნამუსი და არც ზნეობა გააჩნია, – განაცხადა კალაძემ.

ის ანაკლიის პროექტის საკითხსაც შეეხო.

– ძალიან დიდი ეჭვი მაქვს, ხაზარაძემ ამ პროექტის განხორციელება შეძლოს, მას ამის არც ფინანსური რესურსი აქვს და არც გონებრივი შესაძლებლობები, – აღნიშნა დედაქალაქის მერმა.

გუშინვე მამუკა ხაზარაძე კახა კალაძის განცხადებას მოკლედ გამოეხმაურა.

– კალაძეს ალბათ არ ვუპასუხებ, რამეთუ მისი ლექსიკა არ შეესატყვისება არა თუ პოლიტიკოსის, არამედ კაცის ლექსიკას. ესაა ჩემთვის დამარცხებული პოლიტიკოსების ენა. მე არ ვთვლი მისთვის პასუხის გაცემას საჭიროდ, – განაცხადა მამუკა ხაზარაძემ.

# დვალი და აქიმიძე რუსთავი 2-ის 60%-ის დასაბრუნებლად სასამართლოს მიმართავენ




დავით დვალი და ჯარჯი აქიმიძე ტელეკომპანია რუსთავი 2-ის წილის 60%-ის დასაბრუნებლად სასამართლოს მიმართავენ. ერთი მოპასუხე ტელეკომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი ქიბარ ხალვაში იქნება, ხოლო მეორე – პაატა კარსანიძე, რომელმაც 2004 წელს დვალისა და აქიმიძისგან 30-30%-იანი წილი ფორმალურად იყიდა.

ამის შესახებ კახა კოჟორიძემ ფეისბუქში დაწერა:

„რუსთავი 2-ს მე ვუყურებ ისე, როგორც მშობელი უყურებს შვილს და უნდა, რომ იყოს ბედნიერი და თავისუფალი“ – ეს სიტყვები თქვა დავით დვალმა 2019 წლის 26 ივლისს პარლამენტში დამოუკიდებელი დეპუტატების მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე. ზუსტად ეს განწყობა ჰქონდა აქიმიძეს. მათ უარი თქვეს ხალვაშის შეთავაზებაზე და არ წავიდნენ გარიგებაზე.

პარლამენტში შეხვედრას ვესწრებოდი. მათმა სიტყვებმა და ამ პრინციპულმა დამოკიდებულებამ სამართლებრივი დახმარების სურვილი გამიჩინა. ისინი დააზარალა ორმა ხელისუფლებამ – ერთმა წაართვა რუსთავი 2, მეორემ კი მიზანმიმართულად არ გამოიძია და არ დაუბრუნა. მათთან ერთად მთელი საზოგადოება დავზარალდით. 2004 წლიდან გასული იყო 15 წელი და ორი ხელისუფლების გაფუჭებული საქმიდან იურიდიული გამოსავალი არ ჩანდა.

შევისწავლე ეს საქმე და სამართლებრივი კუთხით დაუჯერებლად მარტივი გამოსავალი მოვნახე. რამდენიმე დღეში შევხვდი მათ, ავუხსენი იურიდიულად რა იყო გასაკეთებელი. მათ მოეწონათ ეს გზა და დავიწყეთ მუშაობა... ერთ-ერთი ყველაზე დიდი სარჩელი გამოვიდა, რაც კი ოდესმე დამიწერია.

ხვალ, 17 ოქტომბერს, ფონდ ღია-საზოგადოება საქართველოს ოფისში 13:00 საათზე ყველა მედიასაშუალებას გიწვევთ პრესკონფერენციაზე, სადაც ჩვენი სამართლებრივი ბრძოლის სტრატეგიაზე ვისაუბრებთ და თქვენს კითხვებს ვუპასუხებთ. ხოლო 15:00 საათზე სარჩელს შევიტანთ თბილისის საქალაქო სასამართლოში.

# დარწმუნებული ვარ, რომ ეს საქმე გამარჯვებით დასრულდება!“

## ინგა გრიგოლია ტელეკომპანია „პირველის“ დირექტორი გახდა

– დღეიდან ტელეკომპანია „პირველს“ ინგა გრიგოლია უხელმძღვანელებს – ამის შესახებ ტელეკომპანიის დამფუძნებელმა ვახტანგ წერეთელმა გუშინ, 16 ოქტომბერს, სოციალურ ქსელში დაწერა.

„დღეიდან ტელეკომპანია „პირველს“ ინგა გრიგოლია უხელმძღვანელებს. გადავდივართ განვითარების ახალ ეტაპზე, რომელსაც სათავეში ახალი დირექტორი ჩაუდგება, დიდი გეგმებით და მთელი გუნდის ერთიანი ძალისხმევით.

ინგა „პირველზე“ იმ დროს მოვიდა, როცა აქ პირველი აგური იდებოდა და ჩვენი ტელევიზიის ყველა თანამშრომელთან ერთად, მთელი ენერგია ჩადო ჩვენი ტელევიზიის განვითარებაში.

უკვე დღეიდან „რეაქციასთან“ ერთად ის მთელი არხის ახალ ეტაპზე გადასვლის პროცესს ჩაუდგება სათავეში.

მჯერა, ეს ახალი ეტაპი კიდევ უფრო წარმატებული გამოგვივა. ინგა გრიგოლია, წარმატებებს გისურვებ!“ – წერს წერეთელი.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ბექა მინდიაშვილი: „სააკაშვილის მიერ ბოკერიას დემონიზაცია ამაზრზენი იყო“

იაგო ნაცვლიშვილი

კონსტანტინოპოლის შემდეგ უკრაინის ავტოკეფალიას მხარი საბერძნეთმაც დაუჭირა, რომელმაც აღნიშნული გადაწყვეტილება რამდენიმე დღის წინ მიიღო. საქართველოს ეკლესია კი გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობს. სამაგიეროდ, არჩევნების მოახლოებასთან ერთად უფრო და უფრო მატულობს ქართველი პოლიტიკოსების მხრიდან რელიგიური თემებისა და ღმერთის სახელის ხაზგასმა.

რატომ აყოვნებს საქართველოს ეკლესია უკრაინის ეკლესიის მხარდაჭერას? რა პოზიცია უნდა ჰქონდეს ხელისუფლებასა და პროდასავლურ პარტიებს ამ თემაზე და რელიგიური თემების წინ წამოწევა პოლიტიკოსების განცხადებებში არის თუ არა საარჩევნო პოპულიზმი? – ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ თეოლოგებს ესაუბრა.

ბექა მინდიაშვილი ამბობს, რომ საქართველოს ეკლესიაში რუსული პოლიტიკა უკვე აშკარად ჩანს. მინდიაშვილის აზრით, სააკაშვილის განცხადებები აშკარად პოპულისტური იყო, ხოლო ბოკერიას განცხადება ამის ხაზგასმა არ ყოფილა.

***– რამდენიმე დღის წინ უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალია აღიარა საბერძნეთმაც. ჩვენი ეკლესია კვლავ დუმს და არ იღებს გადაწყვეტილებას. როგორ აფასებთ ამას?***

– საბერძნეთის ეკლესიის აღიარება არის ყველაზე ძლიერი მხარდაჭერა ბერძნულენოვან ქრისტიანულ სამყაროში. აღიარებული უკვე არის, ამას ჰქვია მხარდაჭერა. ვინც ჯერჯერობით არ აღიარებენ, ეს არის იმ ეკლესიის პრობლემა, რომელსაც არ მიუღია გადაწყვეტილება.

მნიშვნელოვანი საკითხი არის რუსეთის ეკლესიის უზარმაზარი წნეხი და წინააღმდეგობა პროცესისადმი. სწორედ ამის გამო არ უჭერს მხარს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია უკრაინის ავტოკეფალიას. ყოველ შემთხვევაში განცხადების დონეზე ჯერ არაფერი გაკეთებულა.

***– ჩვენს ეკლესიაში ფესვგადგმულია რუსული პოლიტიკა?***

– ეს ძალიან აშკარად ჩანს და არა მხოლოდ უკრაინის ავტოკეფალიის მხარდაჭერასთან მიმართებით, არამედ მთელი ამ წლების განმავლობაში ეკლესიის მოღვაწეობასთან დაკავშირებით.

დაახლოებით 15 ეპისკოპოსია, რომლებიც საჯაროდ აპროტესტებენ პრორუსულ განწყობებს ეკლესიაში და მხარს უჭერენ უკრაინის ავტოკეფალიას.

***– რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ამ ეპისკოპოსების მიმართ რაღაცნაირად მხარდაჭერა იყოს გამოთქმული როგორც საზოგადოების ან პოლიტიკური წრეების მხრიდან?***

– ეს უნდა იყოს მედიის საქმიანობის ნაწილი, რომ სწორედ ასეთ ეპისკოპოსებს მისცენ საშუალება, გამოხატონ თავისი პოზიციები. ეს უნდა იყოს პოლიტიკოსების მხრიდან გადადგმული ნაბიჯები. იმიტომ, რომ ეს არ არის მხოლოდ რელიგიური საკითხი და ეს უკვე იქცა გეოპოლიტიკურ და ღირებულებით დაპირისპირებად. საზოგადოებრივი და არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაც აქეთკენ უნდა იყოს მიმართული, რომ მეტი დიალოგი გაიმართოს ეკლესიასთან, სადაც სასულიერო პირებიც იქნებიან, მათ შორის სინოდის წევრები. ისაუბრებენ და გაარჩევენ უამრავ სხვა საკითხს.

***– ხომ არ ხედავთ საჭიროებას, რომ პროდასავლურმა პარტიებმა დაუჭირონ მხარი განცხადების დონეზე?***

– მე ვფიქრობ, რომ პირველ რიგში სახელმწიფომ და მთავრობამ უნდა დაუჭიროს მხარი. მიულოცოს უკრაინელ ხალხს ავტოკეფალიის აღიარება. ეს არის უდიდესი ნაბიჯი, მათ შორის უკრაინის დამოუკიდებლობის თვალსაზრისითაც. ეს ხელისუფლების მოვალეობაა, რასაც არ აკეთებს. მაგრამ, პოლიტიკურმა პარტიებმაც უნდა გააკეთონ. რა თქმა უნდა, პროდასავლურ პარტიებს ვგულისხმობ, იმიტომ, რომ პრორუსული, რა თქმა უნდა, მხარს არ დაუჭერს.

ეს მხარდაჭერა გამოხატა „ევროპულმა საქართველომ“, რომლის ერთ-ერთი ლიდერი გიგი უგულავა ერთადერთი პოლიტიკოსი იყო, რომელიც ესწრებოდა უკრაინის ავტოკეფალური ეკლესიის მიტროპოლიტის ეპიფანეს ინტრონიზაციას და ახლაც, როცა ის შეხვდა მსოფლიო პატრიარქს, ერთ-ერთი საკითხი ეს იყო. სწორედ ამის შემდეგ მეორე დღეს დაიწყო საბერძნეთის ეკლესიამ უკრაინის ავტოკეფალიის აღიარების პროცესი.

***– რესპუბლიკელები ყველა პროდასავლურ პარტიას მოუწოდებენ ერთობლივი მხარდაჭერისკენ.***

– რესპუბლიკური პარტიაც ღიად გამოხატავს მხარდაჭერას. ჩემთვის გასაკვირია, რომ ნაციონალური მოძრაობა და მისი ლიდერი მიხეილ სააკაშვილი თავს იკავებენ. კი, მიულოცა ავტოკეფალია, რაც მნიშვნელოვანია, მაგრამ ჯერჯერობით მკაფიო მხარდაჭერა მისგან არ მოგვისმენია.

***– როგორ აფასებთ პოლიტიკოსების განცხადებებს, რომელიც ბოლო პერიოდში კეთდება? ღმერთზე ხდება ხაზგასმა. ამას მიჩვეული ვართ „ოცნებისგან“, მაგრამ უჩვეულოდ ეს დაიწყო სააკაშვილმა და გააგრძელა ბოკერიამ და ხაზარაძემაც ახსენა უკვე.***

– კონსერვატორული პოლიტიკოსებისთვის ეს ჩვეულებრივი რამეა და ეს მთელ მსოფლიოში ასეა. მათ შორის აშშ-შიც იყენებენ პრეზიდენტები და პოლიტიკოსები რელიგიურ თემატიკას. ეს კეთდება მხარდამჭერების მობილიზაციისთვის. აქ პრობლემას ვერ ვხედავ ღმერთის ხსენებაში. თუკი ადამიანს სურს ეს, შეუძლია გააკეთოს.

პრობლემა იქმნება მაშინ, როდესაც სხვის წინააღმდეგ მიმართავ რელიგიურ რიტორიკას, ანუ რელიგიას იყენებ პოლიტიკური ოპონენტის დემონიზაციისთვის. მაგალითად, რაც სააკაშვილმა გააკეთა, რომ ბოკერია განასახიერებს ყველაფერ ანტიქრისტიანულს და ანტიტრადიციულს. სააკაშვილის ასეთი პოზიცია ამაზრზენია.

ასეთი რიტორიკა ძირითადად ახასიათებს „ქართულ ოცნებას“ სააკაშვილის წინააღმდეგ ბრძოლისას და ეს ახასიათებს ვულგარულ, უკულტურო, ფარისევლურ პოლიტიკოსებს. ახლა ეს ყველაფერი რიტორიკულ შეიარაღებაში სააკაშვილმა თვითონ გადმოიღო.

***– ბოკერიას განცხადებასაც მოჰყვა ქილიკი.***

– ბოკერიას განცხადებაში ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავ. შესაძლოა ასე შეაფასო, შესაძლოა ისე, მაგრამ ის არავის წინააღმდეგ არ არის მიმართული.

***– თუმცა, ამასაც პოპულიზმის ელფერი ხომ არ გასდევდა თან?***

– არა მგონია. ბოკერიას წლებია ვიცნობ და მას ეს პოპულიზმი არ ახასიათებს. რაღაცა რიტორიკული ფიგურა იყო ამ შემთხვევაში ღმერთის ხსენება. საერთოდ არანაირი მნიშვნელობა არ უნდა მივანიჭოთ ამას. არა მგონია, რომ პოპულისტურ კონტექსტში უნდა განვიხილოთ მისი ეს განცხადება. პირადად მას არ ახასიათებს ზომაზე მეტად პოპულიზმი.

***– როდესაც ვიცით მისი ხედვები, უფრო მეტად ჩნდება კითხვები.***

– ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის არ არის მორწმუნე. რამდენადაც ვიცნობ მას პირადად, არ საუბრობს ის რწმენაზე. მიაჩნია, რომ ეს არის ადამიანის პირადი სფეროს ნაწილი, მაგრამ ადრეც უხსენებია და ახლაც თქვა, რომ ის არის მართლმადიდებლური კულტურის ნაწილი.

ამ განცხადებაში პრობლემას ვერ ვხედავ. პრობლემა არის ის, როდესაც რელიგიური ფარისევლები დემონიზაციას ახდენენ, განსაკუთრებით კი ბოკერიასი, სწორედ ამ ნიშნით, რომ ის ქრისტიანი არ არის, ქრისტიანობას მტრობს, მართლმადიდებლობას და ტრადიციებს გვართმევს და ა. შ.

ეს არის უპასუხისმგებლობა და ფარისევლობა.

❖ ❖ ❖



## გოჩა ბარნოვი: „პოლიტიკოსები რელიგიის თემას უყურებენ, როგორც საარჩევნო ხორცს“



გოჩა ბარნოვი ამბობს, რომ ის ხალხი, ვისაც საპატრიარქოში ძალაუფლება აქვს, რუსეთისგან კონტროლდება. ბარნოვი პატრიარქის მოსაყდრე შიოს ასახელებს და ამბობს, რომ ის რუსეთის მიერ არის დასმული.

***– უკრაინის ავტოკეფალიის საკითხი აღიარა ჯერ კონსტანტინოპოლმა, ახლა უკვე საბერძნეთმა. ხომ არ დადგა დრო, იგივე გააკეთოს საქართველომაც, რათა არ ვიყოთ მაჩანჩალები მეგობარ სახელმწიფოსთან მიმართებით?***

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# გიორგი გუგავა: „ქართული ოცნების“ დარჩენა ხელისუფლებაში საფრთხეს შეუქმნის სახელმწიფოებრიობას“

მარიამ მჭედლიშვილი

**საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთ ლიდერს, გიორგი გუგავას.**

***– „ქართული ოცნების“ ლიდერებს და მათ გათვლებს თუ დავუჯერებთ, ახლანდელი მმართველი პარტია 2020 წლის შემდეგაც ტრიუმფატორი იქნება. თქვენ რას იტყვით?***

– ამ განცხადებებს რეალობასთან საერთო არაფერი აქვს. ასეთი გამოსვლები „ქართულ ოცნებას“ თავისი ამოცანებისთვის სჭირდება. პირველ რიგში, მმართველი პარტია ცდილობს, შეაგულიანოს თავისი სავარაუდო ამომრჩეველი. ეს სახელმწიფო ორგანიზაციებში მომუშავე ადამიანები არიან.

***– ეს ადამიანები ისედაც „ოცნების“ ელექტორატად ითვლებიან. მათ შეგულიანება სჭირდებათ?***

– სჭირდებათ. 2012 წელს ნაციონალებსაც ეგონათ, რომ მთელი ბიუროკრატია ჯიბეში ჰყავდათ, მაგრამ ამ ხალხმა სააკაშვილს უგანა და ხმა არ მისცა. არც „ქართულ ოცნებას“ აქვს გარანტია, რომ ბიუროკრატიის ხმებს იღებს. ამიტომ ისმის შეძახილები. ამის გარდა, „ქართული ოცნების“ ამოცანაა საზოგადოებრივი აზრის შექმნა. ყალიბდება ისეთი სურათი, რომ „ქართული ოცნება“ დიდი უპირატესობით იმარჯვებს. სინამდვილეში, „ქართული ოცნების“ რეიტინგი 60% კი არ არის, ათჯერ ამაზე ნაკლებია. „ოცნება“ აპირებს არჩევნების გაყალბებას.

***– „ოცნებას“ ფაქტობრივად მხარდამჭერები აღარ დარჩა?***

– ყველამ კარგად ვიცით, რა ხდება ქვეყანაში. კატასტროფაა ყველა მიმართულებით – სოციალურ-ეკონომიკური სფერო იქნება ეს, მართლმსაჯულება თუ სამართალწარმოება. ხალხის უკმაყოფილება იზრდება. ამ სიტუაციაში სახელდება მოგონილი რიცხვები. ვითარება მძიმეა,



„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში კიდევ ერთი ვადით დარჩენა არ შეიძლება. ეს საფრთხეს შეუქმნის სახელმწიფოებრიობას.

***– ხსნა მრავალპარტიულობასა და კოალიციურ მმართველობაშია? როგორი კონფიგურაცია იქნებოდა იდეალური მომავალი მოწვევის პარლამენტში?***

– ვფიქრობ, პროპორციული სისტემისა და ბუნებრივი ბარიერის შესახებ კანონმდებლობის დამტკიცების შემდეგ, რამდენიმე ძლიერი ძალა მოვა პარლამენტში. იდეალური იქნებოდა ლეიბორისტული პარტიის მმართველობა. ამ შემთხვევაში ჩვენ გავატარებდით რეფორმებს სოციალური სამართლიანობის მისაღწევად.

საქართველოში მთელი საზოგადოებრივი სიმდიდრე მისაკუთრებული აქვს 3%-ს, ანუ ოლიგარქებს, მოსახლეობის დანარჩენი 97% კი სულს ღაფავს. ვისაც გაქცევა შეუძლია, ქვეყნიდან გარბის, ვინც რჩება, შიმშილობს. ჩვენი მიზანია, შევქმნათ საშუალო ფენა. არ შეიძლება, რომ ყველაფერი ოლიგარქების ხელში იყოს.

***– მაჟორიტარული სისტემა უქმდება. პარლამენტის მაჟორიტარების დიდი უმრავლესობა პარლამენტში იცავდა საკუთარ ბიზნესსა და ქონებას. როგორ ფიქრობთ, ყოფილი მაჟორიტარები 2020 წლისთვის პარტიებსაც შექმნიან?***

– ბუნებრივი ბარიერი ასეთ ხალხსაც გაუჩენს ილუზიებს. ზოგი მათგანი პარტიასაც შექმნის. თუმცა, ბუნებრივი ბარიერის გადალახვა ბევრისთვის არც ისეთი ადვილია, როგორც ჰგონიათ.

ოლიგარქიულ სისტემას საფუძველი ჩაეყარა შევარდნაძის დროს. „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“, ანუ „მრეწველები“ პოლიტიკაში მოვიდნენ. ირიბად პოლიტიკაში უკვე მაშინ ჩართული იყვნენ ბადრი პატარკაციშვილი და ბიძინა ივანიშვილი. ისინი აფინანსებდნენ სხვადასხვა პოლიტიკურ ჯგუფს. მოგვიანებით ისინი ღიად გამოჩნდნენ. იყვნენ ასევე უფრო პატარა მასშტაბის ოლიგარქები, მაგალითად, ვანო ჩხარტიშვილი.

ნაცმოძრაობის დროს ეს პროცესები გრძელდებოდა, ივანიშვილის დროს კი ოლიგარქიულმა სისტემამ მწვერვალს მიაღწია. ასე ქვეყანა ვერ განვითარდება, იმიტომ, რომ ამ ოლიგარქებს ძალაუფლება და სახელმწიფო ინსტიტუტები სჭირდებათ საკუთარი ქონების დასაცავად და გასამრავლებლად. ამიტომ არის, რომ ერთი მუჭა მდიდარი ხალხი უფრო მდიდრდება, ხალხი კი გაუსაძლის პირობებში იმყოფება.

ჩვენთან 75.000 ბავშვი ფაქტობრივად ვერ იკვებება. გვაქვს შიმშილისგან ბავშვების დაღუპვის ფაქტები. პენსიონერებს პენსიები პურის საყიდლად თუ ჰყოფნით. დასაქმებულად ითვლებიან მეთევზეები, ასევე ის ადამიანები, რომლებიც თავის პატარა ბოსტნებს უვლიან. ჯანდაცვა, რომლის გამო „ქართული ოცნება“ ბევრს ტრაბახობდა, ბევრისთვის ხელმიუწვდომელია. ესაა ევროპისკენ სვლა?!

***– ევროპაში საქართველოსნაირი სოციალური კონტრასტი არ არის.***

– არსებობის, შრომის, ღირსეული ანაზღაურების, დასვენების უფლება, მინიმალური სოციალური ფუნქციის შესრულება ევროპულ ფასეულობებს მიეკუთვნება. ევროპაში ამაზე ზრუნავენ. საქართველოში აქედან არაფერი არ არის დაცული.

***– პარტიებიც ნაკლებად აქცევენ ყურადღებას სოციალურ საკითხებს.***

– სხვა პარტიები ერთმანეთის ანტაგონისტები არიან, მაგრამ მათ ერთი ლიბერტარიანული იდეოლოგია აქვთ. ისინი არ უპირისპირდებიან ოლიგარქიულ სისტემას, რომელსაც ქვეყანა უფსკრულში მიჰყავს. ჩვენი იდეოლოგია მიმართულია სიღარიბის დაძლევისა და საშუალო ფენის ჩამოყალიბებისკენ.

***– ჩვენს საზოგადოებასაც არ სჩვევია სოციალური პრობლემების გამო მასობრივი აქციების მოწყობა. ამას რას უკავშირებთ?***

– ჩვენს ხალხს, გარკვეულად, ახასიათებს კუდაბზიკობა და „შემოდგომის აზნაურების“ სინდრომი. ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ ხალხმრავალი აქციები ემყარება სოციალურ ბაზას. სოციალური პრობლემები გროვდება, ხდება უარყოფითი ენერგიის აკუმულირება და ასეთ დროს ჩახმახის როლი შეიძლება სხვა თემამ შეასრულოს.

მაგალითისთვის მოვიყვან „გავრილოვის ღამეს“. ბევრი ადამიანი პარლამენტთან აპროტესტებდა რუსი დეპუტატის ქმედებას. ამ ადამიანებს დაუგროვდათ პრობლემები და ამან „გავრილოვის საკითხზე“ გამოსვლისას ამოხეთქა. მსგავსი შეიძლება განმეორდეს.

პირველ რიგში, დასამყარებელია სოციალური სამართლიანობა.



**შევიძენ**

**ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.**

**ტელ: 598-43-98-57**

# „2020-ში პროდასავლურ ძალებს ჯამში 50%-ზე მეტის მოგროვება შეგვიძლია“

## დავით ბერძენიშვილი: „კობახიძის კალკულაციების გაგება ჩემს შესაძლებლობებს აღემატება“

ნათია ხურცილავა

**რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი დავით ბერძენიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**



***– ბატონო დავით, ირაკლი კობახიძის მეორე განცხადებას 60%-თან დაკავშირებით ირმა ინაშვილის აღშფოთება მოჰყვა. თუ არჩევნებში თქვენ 60%-ს დაიწერთ და ბოკერია-სააკაშვილს 20%-ს დაუწერთ, რევოლუციას მოგიწყობთო. როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს?***

– კობახიძე დილა-საღამოს ურთიერთსაპირისპიროს ამბობს. თუ მისი განცხადება ვილაცას არ მოეწონება და დაუცაცხანებენ, მერე ცვლის. ასე იყო გავრილოვის დროსაც. დილით გვითხრა, არსად მივდივარ, რატომ უნდა გადავდგეო და საღამოს გამოგვიცხადეს, გადადგაო.

ასე არის ახლაც. ჯერ თქვა, ზედა ჭერი 45%-ია „ქართული ოცნებისთვის“, რაც არ მოეწონათ და ამის გამო დაუცაცხანეს. მერე შეცვალა და 60% დაიწერა. თუ 45%-იან ვერსიაში „პატრიოტთა ალიანსს“ გულისხმობდა, 60%-იან ვერსიაში თქვა, არავითარი პრორუსებიო.

პირველ ვერსიაში ისიც თქვა: თუ დაგვჭირდა, მზად ვართ, ვადამდელ არჩევნებზეც წავიდეთ, მაგრამ აქ სხვები, პატარ-პატარა ჯგუფები დააშინა, ამ შემთხვევაში 5%-იანი ბარიერი გექნებათ გადასალახიო.

კობახიძის პოლიტიკურ კალკულაციას როგორ უნდა ჩავუღრმავდე, არ ვიცი, ამდენი უნარი არ მაქვს. თქვა, პროგნოზებში არასდროს ვცდებიო, მაგრამ 28 ოქტომბერს სალომე ზურაბიშვილის 52%-იანი ტრიუმფალური გამარჯვება ამცნო საზოგადოებას, მაგრამ აღმოჩნდა, რომ თურმე მეორე ტური ინიშნება.

***– არ ფიქრობთ, რომ „ქართულ ოცნებას“ არ სურს ვინმეს დახმარება მთავრობის დასაკომპლექტებლად და ამიტომ 45% გაიზარდა 60%-მდე? ეს გზავნილი არ იკითხება?***

– დიახ, რა თქმა უნდა! ივანიშვილის ხელისუფლება არ იყოფა. ამიტომ, ივანიშვილს არავითარი რეალური კოალიცია არ უნდა. მას კოალიცია რომ სურდეს, კი არ დაანგრევდა კოალიციურ მთავრობას. მას არ შეუძლია პარტნიორობა..

***– ნაციონალური მოძრაობა და „ევროპული საქართველო“, უფრო კონკრეტულად, სააკაშვილი და ბოკერია, ერთმანეთს უპირისპირდებიან და ურთიერთობების გარკვევები მიდის.***

– ხელისუფლების შეცვლის მოთხოვნილება უფრო ძლიერია, ვიდრე გიგა ბოკერიას პოლიტიკური ამოცანა – რაც შეიძლება მკაფიოდ გაემიჯნოს ყოფილ პარტნიორებს, ნაციონალურ მოძრაობას. გასაგებია, რომ „ევროპულ საქართველოს“ გამიჯვნისთვის ეს სჭირდება. ნაციონალური მოძრაობა არ არის მხოლოდ მიხეილ სააკაშვილი და არ არის არც მიხეილ სააკაშვილის გარეშე.

ყველა ოპოზიციურ ჯგუფს, ყველა პროდასავლურ ძალას – ძლიერებს, საშუალოებს, სუსტებს – თუ ჯამში 50%-ზე მეტს დააგროვებენ, მოუწევთ ერთიანი კოალიციური ხელისუფლების გაყოფა. ეს რეალისტურია.

***– თქვენ ამბობთ, რომ პოლიტიკური სიმძიმე ამ არჩევნებზე ოპოზიციის მხარეს იქნება და 50%-ს დააგროვებთ?***

– ეს ამომრჩეველზე იქნება დამოკიდებული, მაგრამ ამის ალბათობა მაღალია.

***– ბოკერიას ინიციატივა – პოლიტიკური ამნისტია – თქვენთვის მისაღებია?***

– პოლიტიკური ანგარიშსწორება არ უნდა მოჰყვეს ხელისუფლების ცვლილებას. ჩვენ, რესპუბლიკელები, ყოველთვის ამ პოზიციაზე ვიყავით. თუმცა, წინასწარ ინდულგენციის გაცემას არ ვეთანხმები. „ევროპული საქართველო“, ვფიქრობ, კორექტივებს შეიტანს. მათ საჯაროდ გამოაცხადეს, რომ ამ საკითხზე ჯერ პარტიას გადაწყვეტილება არ აქვს მიღებული და გუნდის შიგნით დისკუსია მიმდინარეობს.

***– ანაკლიის პროექტზე მამუკა ხაზარაძემ განაცხადა, რომ ივანიშვილს პროექტი იმთავითვე არ უნდოდა და თქვა, ამერიკელებს შავ ზღვაში არაფერი ესაქმებათო. მეორე მხრივ, სახელმწიფომ კონსორციუმს წლის ბოლომდე ვადა გაუგრძელა. თქვენთვის სად არის სიმართლე?***

– მე დარწმუნებული ვარ, რომ ივანიშვილი ამის მთქმელი იყო. მანამდეც გამოუხატავს ანტინატოური პოზიცია. სანამ ჩვენ ვიყავით კოალიციაში, ის იძულებული იყო, რომ დეკლარირებული ხაზი ყოფილიყო ნატოში ინტეგრაცია. ნატო არ არის მისი პრიორიტეტი. – რა ესაქმებათ ამერიკელებს შავ ზღვაში – ეს პოზიცია აქვს. როგორც ჩანს, მისთვის შავი ზღვა რუსეთის საბატონო ასპარეზია.

ბიძინა ივანიშვილმა ჩათვალა, რომ ევროპასთან ვიზალიბერალიზაცია არის მაქსიმუმი, რაც შეიძლება დასავლური მიმართულებით საქართველომ გააკეთოს. ნატოსკენ სვლა კი რუსეთის ისეთი გაღიზიანებაა, რომ საშიშია მისთვის, როგორც ამ ქვეყნის ხელისუფლისთვის. ამიტომ, ნატოსკენ სვლას აფერხებს.

ნატოსთან დაკავშირებით პლებისციტი ჩატარებულია, შედეგები ცნობილია, კონსტიტუციაში ჩანაწერია. ამიტომ, ღიად და საჯაროდ ვერ იტყვის, რომ ნატო არ გვინდა, მაგრამ ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ნატო არ მოგვიახლოვდეს და ჩვენ ნატოს არ მივუახლოვდეთ.

ანაკლიის პროექტი კი სწორედ სამხედრო უსაფრთხოების თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია. ფაქტია, რომ რუსეთს ძალიან აღიზიანებს დასავლური, ამერიკული კონტინგენტის გაჩენა ანაკლიის პორტში.

# „ნაციონალებთან დგომით „ევროპულმა საქართველომ“ რეიტინგი დაკარგა“

## რამაზ საყვარელიძე: „ხაზარაძეს ჰქონდა შანსი, დამდგარიყო ელისაშვილის გზაზე, მაგრამ ვერ მოახერხა“

ნონა ცაბაძე

**ხელისუფლებისა და ოპოზიციის ურთიერთობის შესახებ „ახალი თაობის“ კითხვებს რამაზ საყვარელიძე პასუხობს.**

***– ივანიშვილი აქტიურად იბრძვის იმისთვის, რომ მესამე ძალა არ შემოუშვას პოლიტიკურ ველზე. დევნა, შევიწროვება, დაპატიმრება მიზანმიმართული პროცესია ოპონენტების წინააღმდეგ, რომ არ შეიქმნას მესამე ცენტრი თუ რასთან გვაქვს საქმე?***

– არც ერთი პოლიტიკური ძალა სხვას კარს არ უხსნის, მობრძანდი ბატონოო. ზრდილობის ადგილი პოლიტიკა არაა. არავინ არ ეპატიჟებოდა ზვიად გამსახურდიას თავის დროზე, ასევე მიშა სააკაშვილს, ისინი შემოვარდნენ პოლიტიკაში. მათ რომ ჰყავდათ დამთრგუნველი მოწინააღმდეგე, ესეც ფაქტია, გარდა ამისა, კომპრომატების ცვენა იყო როგორც ერთის, ისე მეორის მიმართ, მაგრამ ამან ვერ შეაჩერა ხალხის განწყობილება.

ანალოგიურად ხალხის განწყობილება მერე უკვე მიშამ ვერ შეაჩერა, მიუხედავად იმისა, რომ ათასი რამე გააკეთა. რადგან ხალხმა გადაწყვიტა, რომ უნდა გაემარჯვა ივანიშვილს, გაყალბებამაც ვერ უშველა, მაინც ივანიშვილმა გაიმარჯვა.

***– ანუ ხალხში არ არის მოთხოვნილება მესამე ძალის?***

– ან ხალხში არ არის მოთხოვნილება, ან ისინი, ვისაც მესამე ძალის პრეტენზია აქვთ, ვერ ხვდებიან, ხალხის მიზიდვის გასაღები სად არის. რაღაც ერთი და იგივე ფრაზების გამეორებით სურთ მოგება: გავაგდებთ ივანიშვილს, დავიჭერთ ივანიშვილს, ჩამოვახრჩობთ ივანიშვილს. ანუ ყველა ხერხი მიმართულია იმისკენ, რომ ივანიშვილი არ ვარგა.

***– ბოკერიამ შეცვალა ტაქტიკა, არავის დავიჭერთო.***

– აი, ბოკერიამ გადაწყვიტა უკვე ხერხის შეცვლა, ვნახოთ, ეს რამეს მოუტანს თუ არა. მე მეეჭვება.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ ბოკერიასაც და ნაციონალებსაც პიარის პრობლემაში კი არ აქვთ საქმე, რამდენადაც მათ წარსულში. ეს წარსული ისეთი რამეა, რომ დღეს რაც არ უნდა თქვა, წარსულს ვერ შეცვლი, ვერაფრით გადაფარავ. ამიტომ ისიც არ მეჩვენება დამაჯერებლად, რომ გინდ ივანიშვილი და გინდ სხვა ვინმე ხელს უშლის ოპოზიციის გაჩენას, ოპოზიცია უნდა გაჩნდეს თუ გამჩენია და თუ არ ჩნდება, ე.ი. ოპოზიცია არ ვარგა.

***– დაპირისპირება ოპოზიციაში ბევრს დადგმული სპექტაკლი ეგონა, მაგრამ სიტუაცია მწვავდება. რეალურად უპირისპირდებიან ნაცმოძრაობა და მისი განაყოფი ერთმანეთს?***

– იცით რა, განაყოფს, როგორც თქვენ ბრძანებთ, ცოტა უცნაური ხასიათი აქვს. ჯერ უპირისპირდება ნაცმოძრაობას და მერე რაღაც მომენტში, სადაც საკვანძო საკითხი წყდება, ისევ შეერწყმის. პრეზიდენტის არჩევნები იყო ასეთი მაგალითი. ძლივს გამოეყო ნაცმოძრაობას, თითქმის 10%-მდე რეიტინგი ჰქონდა, საპრეზიდენტო არჩევნებზე კი გვერდით დაუდგა ნაცმოძრაობას და ისევ დაკარგა ის რეიტინგი. რას იზამს სამომავლოდ „ევროპული საქართველო“, ჯერჯერობით ამის თქმა მიჭირს, იმდენად არამდგრადი სურათი იყო აქამდე.



***– მამუკა ხაზარაძე რამდენად ჩამოყალიბდება სერიოზულ ოპოზიციურ ძალად? ბოლო პერიოდია, გააქტიურდა და აქეთ უყენებს ბრალდებებს ივანიშვილს და ბრალად დებს ფულის გათეთრებას და პროგრეს ბანკის გაკოტრებას. ამაზე რას იტყვით?***

– ხაზარაძის ბრალდებებზე ბევრს ვერაფერს გეტყვით, ნაკლებად ჩახედული ვარ ამ საკითხში, არც ის ვიცი, რამდენად რეალურია.

მამუკა ხაზარაძეს ჰქონდა შესანიშნავი შანსი, დამდგარიყო ელისაშვილის გზაზე. როგორც ელისაშვილმა უარი თქვა პოლიტიკურ პარტიებზე და საკუთარი თავით მიაღწია მეორე ადგილამდე, ისე, რომ უკან მოიტოვა ნაციონალური მოძრაობაც და ყველა სხვა პარტიაც, ამის შანსი ჰქონდა ხაზარაძესაც, რომ უფრო მეტად მიეზიდა ამომრჩეველი.

მას შემდეგ, რაც ის გადავიდა ივანიშვილის კრიტიკაზე, იმ ნიშაში ჩაჯდა, რაშიც უკვე დიდი ხანია სხედან ნაციონალური მოძრაობა, „ევროპული საქართველო“, შალვა ნათელაშვილი და ასე შემდეგ. უზარმაზარი რიგია მაგ ნიშაში მყოფი პარტიების. ამ პარტიებს შორის განსაკუთრებულობა, მეეჭვება გამოუვიდეს ვინმეს, მათ შორის ხაზარაძესაც. ამიტომ ხაზარაძემაც ძალიან მნიშვნელოვანი შანსი გაუშვა ხელიდან. მოსახლეობას სწყინდება ეს ერთი და იგივე პოზიცია ამ პარტიების, მხოლოდ ხელისუფლების კრიტიკა და მეტი არაფერი.

***– „ოცნებაშიც“ სერიოზული დუღილია. გაუშვეს ზარდიაშვილი, მის ბედს სხვებიც გაიზიარებენ. კალაძესა და გახარიას შორის არსებულ დაპირისპირებაზეც ბევრს საუბრობენ. რა პროცესებს ველოდებით?***

– რა თქმა უნდა, იქნება დაპირისპირებები, ამხელა ორგანიზმი ვერ გაძლებს დაპირისპირების გარეშე. სწორედ შევარდნაძის გუნდის წევრები იყვნენ სააკაშვილი და ჟვანია და სწორედ მათმა დაპირისპირებამ გადაწყვიტა ხელისუფლების ბედი.

დაპირისპირებები მოსალოდნელია, უბრალოდ, მე მეეჭვება, რომ ეს დაპირისპირებები არჩევნებამდე მოხდეს, რადგან ნებისმიერი დაპირისპირება დისკრედიტაციას გაუწევს მმართველ პარტიას.

წესით, არ უნდა აწყობდეთ, თუმცა, ვნახოთ.

# ბექა მინდიაშვილი: „სააკაშვილის მიერ ბოკერიას დემონიზაცია ამაზრზენი იყო“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

– საქართველოს არავინ სთხოვს, რომ უკრაინის ავტოკეფალიის აღიარების პროცესში ის იყოს პირველი, მაგრამ საქართველოს ეკლესიას დღემდე უნდა ჰქონდეს პოზიცია ამ საკითხთან მიმართებაში.

მეუფე შიოს ზურგს უმაგრებს რუსეთი. ამიტომ, რასაც მეუფე შიო თავის ხალხს ალაპარაკებს, ეს არის რუსეთის პოზიცია.

ანდრია ჯაღმაიძე არის მეუფე შიოს კაცი და მას არასოდეს უწოდებია უკრაინის ეკლესიისთვის ეკლესია და ყოველთვის ამბობს, რომ ის არის სტრუქტურა. ამ ტერმინს იყენებს ილარიონ ალფეევიც. ამ ტერმინს იყენებს საქართველოს ეკლესიაც. აქედან დასკვნა ერთია, რომ საქართველოს ეკლესია არის რუსეთის ეკლესიის ფილიალი. ასრულებენ ყველაფერს, რასაც რუსეთის ეკლესია ეტყვის.

***– რამდენიმე ეპისკოპოსმა გამოთქვა მხარდაჭერა უკრაინის ავტოკეფალიის მიმართ. რა უნდა გაკეთდეს საზოგადოების და პოლიტიკური წრეების მხრიდან ამ ეპისკოპოსების მხარდაჭერისთვის?***

– 15-მდე ეპისკოპოსმა გამოთქვა ღია მხარდაჭერა, რაც ძალიან კარგია. მათი მხარდაჭერა უნდა მოხდეს საზოგადოებისგან, უპირველესად, მედიის მხრიდან, რომელმაც ხშირად უნდა გააშუქოს ამ ეპისკოპოსების პოზიციები, რათა უფრო ახლოს მიიტანონ ხალხთან მათი ეს მართლაც ვაჟკაცური პოზიცია. არ არის ადვილი თქვა, რომ უჭერ მხარს უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიას, როდესაც საპატრიარქო ამის წინააღმდეგია.

მნიშვნელოვანია ამ ეპისკოპოსების პრინციპულობა. იმიტომ, რომ საპატრიარქოს მხრიდან მათ მიმართ მუქარაა, მაგრამ ვურჩევდი, რომ გვერდზე დაიყენონ თეოლოგები, რაც, სამწუხაროდ, არ ხდება საქართველოს ეკლესიაში. დაიყენონ თეოლოგები, რომლებსაც მიღებული აქვთ სამეცნიერო ხარისხები ევროპულ უნივერსიტეტებში. წინააღმდეგ შემთხვევაში მათი პოზიციები სუსტი იქნება.

***– პოლიტიკური პარტიების მხრიდანაც ხომ არ იქნება სწორი, რომ ერთობლივი განცხადებით მხარი დაუჭირონ? მაგალითად, რესპუბლიკურმა პარტიამ მიმართა სხვა პარტიებს.***

– ეს არის ძალიან კარგი შეკითხვა და დიდი მადლობა ამ შეკითხვისთვის. სამწუხაროდ, არ არსებობს რაიმე პოლიტიკა ეკლესიასთან მიმართებაში. სამარცხვინო გამოსვლა ჰქონდა დავით ბაქრაძეს, რომელმაც თქვა, რომ ის მხარს უჭერს საქართველოს საპატრიარქოს უკრაინის საკითხთან დაკავშირებით, თუნდაც რუსეთის ეკლესიის ფაქტორის გათვალისწინებით. ანუ, რას ნიშნავს ეს განცხადება? სპეკულაციაა საარჩევნო ხმების მოგროვებისთვის.

***– პოპულიზმია?***

– დიახ, პოპულიზმია. ბაქრაძემ თეოლოგიის არაფერი იცის და ის სპეკულიანტობს ეკლესიის სახელით. მისი განცხადება აბსოლუტურად საწინააღმდეგოა იმ ვიზიტისა, როდესაც მისი პარტიის წევრები იმყოფებოდნენ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში. ბაქრაძემ თქვა, რომ საქართველოს ეკლესიამ რუსეთის ეკლესიის ფაქტორი უნდა გაითვალისწინოს, რაც სირცხვილი და უზნეობაა. პოლიტიკოსმა ასეთი რამე არ უნდა თქვას.

ერთადერთი სწორი პოზიცია, ვისაც უკავია ეკლესიასთან მიმართებაში, ეს არის რესპუბლიკური პარტია. მას აქვს 2%, იციან, რომ ამგვარი განცხადებებით პროცენტები დააკლდებათ, მაგრამ ვაჟკაცურად მაინც ამ პოზიციას იკავებენ. სხვები ყველანი პოპულისტობენ და სპეკულირებენ ეკლესიის თემით.

***– ბოლო პერიოდში ქართველი პოლიტიკოსების მხრიდან იმატა რელიგიის თემამ. ამაზე რას იტყვით?***

– პოპულისტობაა ეს. ვინც არ უნდა იყოს ეს. რელიგიის თემას უყურებენ ისე, როგორც საარჩევნო ხორცს. ამიტომ, სპეკულირებენ პოლიტიკოსები. ასეთ პარტიებს საქართველოში მომავალი არ ექნება. საქართველო სეკულარული სახელმწიფოა და ყველა პარტიამ უნდა იქონიოს სეკულარული დამოკიდებულება ეკლესიასთან მიმართებაში. ეკლესიასა და სახელმწიფოს ერთმანეთთან კავშირები შეიძლება ჰქონდეთ, მაგრამ არა ისე, რომ ერთმანეთს იყენებდნენ. საქართველო არ არის ბიზანტია, სეკულარული სახელმწიფოა, ამიტომ ნება იბოძონ და დაიცვან საქართველოს კონსტიტუცია.

# გრიგოლ ივანეიშვილი სუსის წინააღმდეგ

## ადვოკატი ჩომახაშვილი: „ივანეიშვილმა სუსის აგენტობაზე უარი თქვა და ამიტომ დააკავეს“



განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ბრალდებით დაკავებული წყალტუბოს საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე გრიგოლ ივანეიშვილი აცხადებს, რომ ის შეთქმულების მსხვერპლია.

გუშინ, 16 ოქტომბერს, სასამართლო სხდომაზე ივანეიშვილმა განაცხადა, რომ უდანაშაულოა, შეთქმულების მსხვერპლია და ქრთამის აღება მისთვის მიუღებელია.

— მე აბსოლუტურად უდანაშაულო ვარ. ერთი პროცენტითაც თავს დამნაშავედ რომ ვგრძნობდე, საერთოდ გავჩუმდებოდი. მიმუშავია იმ პერიოდშიც, როცა ხელფასი 40 ლარი იყო, მაგრამ ეს მაშინაც შორს იყო ჩემგან, რასაც ქრთამი ჰქვია.

ბატონმა შალვა თადუმაძემ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, ბრალის ახალი სტანდარტი უნდა დამკვიდრდესო. მე მეეჭვება, რომ ჩემ შემთხვევაში ასეა.

სუს-ის მიერ განხორციელებულ სპეცოპერაციას თავისი მიზეზები აქვს. ეს დიდი ხნით ადრე დაიგეგმა, ვიდრე საკრებულოს ყოფილი შენობის აუქციონზე გატანა. სუს-ი იმაზე მეტად ერევა ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებში, ვიდრე ამას კონსტიტუცია ითვალისწინებს, — განაცხადა ივანეიშვილმა.

მისი პროცესი თბილისის საქალაქო სასამართლოში დაიწყო.

სუს-მა წყალტუბოს საკრებულოს თავმჯდომარე გრიგოლ ივანეიშვილი 25 იანვარს მის კაბინეტში დააკავა. გამოძიება მას განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღებას ედავება.

ამავე საქმეზე, 26 იანვარს სუს-მა ვაკის გამგებლის მოადგილე თეიმურაზ ჩოჩუა ქრთამის აღებაში დახმარების ბრალდებით დააკავა.

ივანეიშვილის ადვოკატის, ირაკლი ჩომახაშვილის, განცხადებით, ივანეიშვილს დაკავებამდე სუს-ის წარმომადგენლებმა თანამშრომლობა შესთავაზეს, უარის მიღების შემდეგ კი, ის დააკავეს.

ივანეიშვილი აპირებს, დაასახელოს ის პირები, რომლებიც მასთან დაკავებამდე 2 თვით ადრე იყვნენ მისულები და თანამშრომლობას სთხოვდნენ.

— ჩემმა დაცვის ქვეშ მყოფმა განაცხადა, რომ მისი თავმჯდომარეობის დროს, მასთან სუს-ის რამდენიმე თანამშრომელი მივიდა და შესთავაზა ეთანამშრომლა. კერძოდ, ოპოზიციის მიმართულებით, თუ რა გეგმები ჰქონდათ მათ და სამომავლოდ რას აპირებდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი მის უარს სამომავლოდ სხვადასხვა საკითხებში გაითვალისწინებდნენ.

ეს საბჭოთა კავშირის დროინდელი მიდგომაა და ვფიქრობ, აღნიშნულთან დაკავშირებით, პროკურატურას შესაბამისი რეაგირება უნდა ჰქონდეს.

სუს-ის შეთავაზებაზე ჩემმა დაცვის ქვეშ მყოფმა მკაცრი უარი განაცხადა, ვინაიდან წყალტუბო პატარა დასახლებაა, ოპოზიციის და მთავრობის წარმომადგენლები ერთმანეთთან პოლიტიკურად დაპირისპირებულები არიან, თუმცა, არა პიროვნულად. ის კანონიერად მოიქცა, როცა უკანონოდ არ ითანამშრომლა სუს-თან და ჩანერგილი არ გახდა.



ამ ეტაპზე, კონკრეტულ პიროვნებებს, რომლებიც მასთან იყვნენ მისული, არ ასახელებს. ამასთან დაკავშირებით, ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის მხრიდან ოფიციალური წერილი გავრცელდება, — განაცხადა ადვოკატმა ჩომახაშვილმა.

სასამართლოზე გრიგოლ ივანეიშვილის დაკითხვა 5 საათის განმავლობაში გაგრძელდა.

მომდევნო სხდომაზე, რომელიც 18 ოქტომბერს, 16:00 საათზე დაინიშნა, თეიმურაზ ჩოჩუა დაიკითხება.

# პოლიციამ ლევან ძნელაძე დააკავა

ყიფშიძის ქუჩაზე მომხდარ დაპირისპირებასთან დაკავშირებით, სამართალდამცველებმა ლევან ძნელაძე დააკავეს.

საუბარია 30 სექტემბერს, ვაკეში მომხდარ სისხლიან გარჩევაზე, რომლის დროსაც თავად ლევან ძნელაძეც დაიჭრა.



შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ლევან ძნელაძეს ბრალად ედება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარება. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის 1-ელი და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილით დაიწყო, რაც 3-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

— საქმეზე ჩატარებული ინტენსიური და კომპლექსური სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, სამართალდამცველებმა დამამძიმებელ გარემოებაში ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით, ამავე ფაქტზე ორი პირი 10 ოქტომბერს თბილისში დააკავეს. 1962 წელს დაბადებულ ზ.ც.-ს და 1973 წელს დაბადებულ დ.ჯ.-ს ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით წარედგინათ. მათ მიერ ჩადენილი დანაშაული 13-დან 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველების მიერ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებებით დადგინდა, რომ 1962 წელს დაბადებულმა ზ.ც.-მ და 1973 წელს დაბადებულმა დ.ჯ.-მ, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, 1972 წელს დაბადებულ ლ.ძ.-ს ცივი იარაღის გამოყენებით სხეულზე სხვადასხვა სიმძიმის ჭრილობები მიაყენეს.

თუმცა, გამოძიებით ასევე გამოიკვეთა, რომ ზ.ც.-ს და დ.ჯ. მიერ ლ.ძ.-ის მკვლელობის მცდელობას წინ უძღოდა ლ.ძ.-ს მიერ გ.ც.-ის ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტი, — ნათქვამია განცხადებაში.

# გლდანში 15 წლის გიორგი ფალელაშვილი დაჭრეს



გლდანში 3 დღის წინ დაჭრილი არასრულწლოვანი მძიმე მდგომარეობაშია.

15 წლის გიორგი ფალელაშვილი მეტროსადგურ „ახმეტელის თეატრის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, სავარაუდოდ, ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა გამვლელმა დაჭრა.

სამართალდამცველებმა სერგო ოსმინკინი ადგილზევე დააკავეს.

დაჭრილი გიორგი ფალელაშვილი გლდანის 173-ე საჯარო სკოლის მეათე კლასის მოსწავლეა.

სავაჭრო ობიექტის წარმომადგენლები კურიერთან იხსენებენ, თუ რა ვითარებაში მიაყენა უცნობმა მამაკაცმა მოზარდს ჭრილობები.

მათი თქმით, მამაკაცი ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

— ჩხუბი მოხდა გარეთ. გოგოები ცდილობდნენ, რომ გაეშველებინათ, მერე ერთ-ერთი შემოვარდაო და გაიქცა პირდაპირ „კრანისკენ“. ეტყობა იცოდნენ, რომ იქ დანა, ჩანგალი, კოვზია და პირდაპირ გაიქცა იქით, რომ აუღია დანა და რომ გამოქცეულა, დაუძახიათ ამ გოგოებს, დანით არის და გაიქეცითო, — ამბობს სავაჭრო ობიექტის წარმომადგენელი.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 19/109 მუხლით დაიწყო, რაც არასრულწლოვნის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობის მცდელობას გულისხმობს.

# გიორგი ერმაკოვი, არჩილ ვანაძე და ეგარსლან ლომაძე პატიმრობაში დატოვეს

ბათუმის ყოფილი მერი გიორგი ერმაკოვი და კიდევ ორი მაღალჩინოსანი არჩილ ვანაძე და ეგარსლან ლომაძე ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ დავით მამისეიშვილმა პატიმრობაში დატოვა.



როგორც მოსამართლემ განაცხადა, ბრალდებულების მიერ წარდგენილი თანხა გირაოსთვის მიყენებული ზარალის ოდენობას ვერ აღწევდა და, შესაბამისად, მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდებოდა.

ამასთან, როგორც მოსამართლემ აღნიშნა, ბათუმის მერს ლაშა კომახიძეს არ ჰქონდა უფლება, ხელშეკრულება გაეფორმებინა ბრალდებულების ადვოკატებთან, რომლის მიხედვითაც ბრალდებულები სახელმწიფოსთვის მიყენებულ ზარალს აანაზღაურებდნენ და აღნიშნული გირაოს სანაცვლოდ საპატიმროს დატოვებდნენ.

შეგახსენებთ, რომ დაცვის მხარემ ბათუმის მერიასთან შეთანხმებას მიაღწია, რომლის მიხედვითაც გამამტყუნებელი განაჩენის შემთხვევაში ბრალდებულები ბიუჯეტისთვის მიყენებულ ზარალს აანაზღაურებენ. მერია თანახმა იყო გამამტყუნებელი განაჩენის შემთხვევაში ზარალის ამ ფორმით მიღებაზე.

ბათუმის მერიის 7 მაღალჩინოსანი 5 თვის წინ დააკავეს, მათ გამოძიება სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას და ბიუჯეტიდან თანხების მითვისებას ედავება. საქმე ეხება ბათუმში „იაფი სახლის“ პროექტის განხორციელებას, რისთვისაც ბიუჯეტიდან მილიონ სამასი ათასი ლარი გამოიყო. პროექტი არ განხორციელდა, შემსრულებელი კომპანია კი გაუჩინარდა.

წინასასამართლო პროცესზე 4 მაღალჩინოსანი სასამართლომ გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა.

# რუსთავთან მოტოციკლი მიცუბიშის დაეჯახა

## მოტოციკლის მძღოლი დაიღუპა

გუშინ, 16 ოქტომბერს, რუსთავი-თბილისის ავტობანზე ავტოსაგზაო შემთხვევა მსხვერპლით დასრულდა.

მოტოციკლის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და მიცუბიშის მარკის დისტრიბუციის ავტომობილს შეეჯახა.

შეჯახების შედეგად მოტოციკლის მძღოლი დაიღუპა. ის 41 წლის იყო.




როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს, ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

# გოჩა ვეფხვაძის მკვლელობა გახსნილია

## 5 ბრალდებულზე ძებნა გამოცხადდა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2019 წლის 6 ოქტომბერს, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტი გახსნა.

დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულია 5 პირი.

დამამძიმებელ გარემოებაში ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობის, დამამძიმებელ გარემოებაში ჯგუფურად ჩადენილ განზრახ მკვლელობაში დახმარების და წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის ბრალდებით, დაუსწრებლად პასუხისგებაში მიცემული არიან: 1979 წელს დაბადებული დ.რ., 1986 წელს დაბადებული ვ.კ., 1980 წელს დაბადებული ნ.კ., 1979 წელს დაბადებული ზ.მ. და 1977 წელს დაბადებული დ.ბ.

მათ მიერ ჩადენილი დანაშაული 7-დან 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

— საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა მიმდინარე წლის 6 ოქტომბერს, თბილისში, აკაკი გახოკიძის ქუჩაზე, წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, იარაღის მუქარითა და ფიზიკური ძალის გამოყენებით, იძულებით, უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება 1979 წელს დაბადებულ გ.ვ.-ს. ამის შემდეგ ლისის ტბისა და ბრიტანული სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე, მოკვლის განზრახვით, ჯგუფურად, დანისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით, მათ გ.ვ.-ს სხეულზე სიცოცხლისთვის სახიფათო დაზიანებები მიაყენეს, რის შედეგადაც იგი საავადმყოფოში გარდაიცვალა, — განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ვლადიმერ ბოცვაძემ.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიების ამ ეტაპზე დგინდება, რომ დანაშაულის მოტივი გახდა ერთ-ერთ ბრალდებულსა და გარდაცვლილს შორის მკვლელობის წინა დღეს მომხდარი სიტყვიერი დაპირისპირება.

შეგახსენებთ, გოჩა ვეფხვაძე, რომელიც მძიმედ დაჭრილი, მანქანით თბილისის ერთ-ერთ ქუჩაზე დატოვეს, რამდენიმე ოპერაციის ჩატარების მიუხედავად, ორი დღის წინ გარდაიცვალა.




გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 25-109-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 236-ე მუხლით და 143-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით მიმდინარეობს.

ვინაიდან ხუთივე ბრალდებული თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოში გამოცხადებას და იმყოფებიან მიმალვაში, მათზე გამოცხადებულია ძებნა. მათი ადგილსამყოფელის დადგენა-დაკავების მიზნით ტარდება კომპლექსური ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებები.

***

კურიერმა ლისის ტბაზე მომხდარი სისხლიანი გარჩევის საქმის ფიგურანტის მეზობლები ჩაწერა.

დავით რუსიას მეზობლების ინფორმაციით, მათ გადმოცემით იციან, თუ როგორ მოვიდა ახლა გარდაცვლილი გოჩა ვეფხვაძე რუსიასთან და როგორ ემუქრებოდა მას და მის ოჯახს სიცოცხლის მოსპობით.

— ჩვენ გავიგეთ სხვებისგან. პირადად ჩვენ არ დაგვინახავს. იყო მოსული გოჩა ვეფხვაძე ავტომატით, დადიოდა მანქანით, გამოდიო, უნდა მოგკლაო, მე ასე მითხრეს. მოვისმინე, რომ რუსიას დედასთანაც მისულა ვეფხვაძე და აგინებდაო, — ამბობენ რუსიას მეზობლები კურიერთან საუბრის დროს.

# მართლწესრიგის ოფიცრებმა ძველ თბილისში მუშაობა დაიწყეს



შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემური განახლების ფარგლებში, ძველი თბილისის რაიონში 60-მა მართლწესრიგის ოფიცერმა დაიწყო მუშაობა.

მართლწესრიგის ოფიცრებს პირველი სამუშაო დღის დაწყება შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის უფროსმა გაგა კირკიტაძემ და საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორმა მიხეილ დაუშვილმა მიულოცეს.

პირველ სამუშაო დღეს, მართლწესრიგის ოფიცრები ძველი თბილისის მოსახლეობას შეხვდნენ და თავიანთი საქმიანობის სპეციფიკა გააცნეს.

ოფიცრები, ასევე, ეწვივნენ აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის 42-ე საჯარო სკოლას, სადაც მოსწავლეებს ბულინგის შესახებ და ამ პრობლემის ერთობლივი ძალისხმევით გადაჭრის გზებზე ესაუბრნენ.

მართლწესრიგის ოფიცრები აქამდე თბილისის მასშტაბით მხოლოდ ვაკე-საბურთალოს რაიონში მუშაობდნენ. დაახლოებით 10-თვიანი მუშაობის შედეგად, მართლწესრიგის ოფიცრებმა თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, დანაშაულის პრევენციის მიზნით, არაერთ ფაქტზე მოახდინეს რეაგირება.

მართლწესრიგის ოფიცერი საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის მოდელია, რომელიც მსოფლიოში დანაშაულის პრევენციის აპრობირებული ინსტრუმენტია.

მართლწესრიგის ოფიცრის კომპეტენციაში შედის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: არასრულწლოვნებთან, ოჯახში ძალადობასთან, სამეზობლო დავებთან, უკანონო მიგრაციასთან, მოწყვლად ჯგუფებთან დაკავშირებულ პრობლემებსა და გამოწვევებზე რეაგირება. მის ფუნქცია-მოვალეობებში, ასევე, შედის: დანაშაულის პრევენციაზე ორიენტირებული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება; ინფორმაციის შეგროვება, სისტემატიზაცია და პირველადი დამუშავება; ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეთა წარმოება; შესწრებულ დანაშაულზე რეაგირება.

ოფიცრების შერჩევა მოხდა როგორც მოქმედი თანამშრომლებიდან, ასევე საკონკურსო წესით. კონკურსში გამარჯვებულმა კანდიდატებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში რამდენიმეთვიანი ინტენსიური პროფესიული სწავლება გაიარეს.

ღია კონკურსის მეშვეობით მართლწესრიგის ოფიცრების ვაკანსიებზე კანდიდატების შერჩევა კვლავ გრძელდება. სამომავლოდ შერჩეული ოფიცრები ინტენსიურ სწავლებასა და მომზადებას გადიან.

მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი ჯერ დედაქალაქის მასშტაბით, ყველა უბანში, ხოლო მოგვიანებით, ეტაპობრივად მთელ საქართველოში დაინერგება.

# ტრამპის მიმართ გამოძიება გრძელდება



აშშ-ის კონგრესი ტრამპის საქმიანობის შესახებ გამოძიებას განაგრძობს. მისი დასრულების შემდეგ უნდა გადაწყდეს, იმსახურებს პრეზიდენტი იმპიჩმენტს თუ არა.

კონგრესს ჩვენება მისცა უშიშროების საბჭოს ყოფილმა თანამშრომელმა ფეონა ჰილმა. მან დაწვრილებით ისაუბრა იმ საქმიანობაზე, რასაც უკრაინაში ტრამპის ადვოკატი ჯულიანი ეწეოდა.

— ჯულიანი კულისებს მიღმა აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებდა. ამით მან უდიდესი პრობლემები შექმნა, — თქვა ჰილმა.

უშიშროების საბჭოს ყოფილმა თანამშრომელმა ჯონ ბოლტონის სიტყვები მოიყვანა, რომელთა მიხედვითაც, ჯულიანის საქმიანობა ფაქტობრივად ტრამპის ადმინისტრაციისთვის ხელყუმბარის სროლას ნიშნავდა.

# მინსკში რუსეთის მოქალაქე დააკავეს

მინსკში რუსეთის მოქალაქე ანა ბოგაჩოვა დააკავეს. ის მათ შორისაა, ვინც 2016 წლის ამერიკულ არჩევნებში ჩაერია და მასზე ამერიკული სანქციები ვრცელდება.



ქალი გაათავისუფლეს. მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მოძმე ბელორუსში დაკავებას ნამდვილად არ მოელოდა.

— მსურს, ბატონ ლუკაშენკოს შევახსენო, რომ ბელორუსი რუსეთზეა მიჯაჭვული და ამ კავშირის გაწყვეტა როგორც პირადად ლუკაშენკოსათვის, ასევე მისი ქვეყნისთვისაც საბედისწერო იქნება, — თქვა ბოგაჩოვამ.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ერდოღანი ცეცხლის შეწყვეტაზე უარს ამბობს



თურქეთის არმია სირიის ჩრდილოეთ ნაწილში შეტევას განაგრძობს. თურქები ქალაქ ინჯირიმს მიადგნენ, რომელიც ცოტა ხნის წინ ამერიკელმა სამხედროებმა დატოვეს. ქალაქში ასადის მომხრე შეიარაღებული ფორმირებები შევიდნენ.

ერდოღანმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ თურქეთის არმია შეტევას არ შეწყვეტს. ქურთებს მან ტერორისტები უწოდა და მათთან ყოველგვარი მოლაპარაკებები გამორიცხა.

— თურქეთი სირიაში სამხედრო ოპერაციას შეწყვეტს, თუ ქურთი მებრძოლები იარაღს დაყრიან და იმ ტერიტორიას დატოვებენ, სადაც ანკარა „უსაფრთხოების ზონის" მოწყობას გეგმავს, — თქვა გუშინ, 16 ოქტომბერს, ერდოღანმა.

მისი თქმით, სხვა შემთხვევაში თურქეთს ვერანაირი ძალა ვერ შეაჩერებს.

ჟურნალისტის შეკითხვაზე, თუ როგორ იმოქმედებენ მის გადაწყვეტილებაზე ამერიკული სანქციები, პრეზიდენტმა მიუგო, რომ სანქციების არ ეშინია.

— ტრამპი თავის ქვეყანაზე ზრუნავს, მე ჩემსაზე! თურქეთის ტერორისტებისაგან დაცვაც ჩემი ამოცანაა, — აცხადებს ერდოღანი.

## კალეიდოსკოპი

# პრინცი უილიამი და კეიტ მიდლტონი მიღებაზე ტუკ-ტუკით მივიდნენ



პრინცი უილიამი და კეიტ მიდლტონი პაკისტანის დედაქალაქ ისლამაბადში გამართულ მიღებაზე მოტორიკშათი მივიდნენ.

ტუკ-ტუკის ძარა ქსოვილით, რომელზეც ადგილობრივი ცხოველები და ფრინველები იყო გამოსახული, და გირლიანდებით იყო დამშვენებული. მიღება დიდი ბრიტანეთის უმაღლესი კომისრის თომას დრიუს მიერ ორგანიზებული ქვეყნის პოლიტიკური, კულტურული და საქმიანი ელიტისთვის იყო ორგანიზებული.

კემბრიჯის ჰერცოგი ღონისძიებაზე პაკისტანური ბრენდის შერვანიში იყო გამოწყობილი — გრძელი ნახევრად პალტო, რომელსაც პაკისტანში, ინდოეთსა და ბანგლადეშში დღესასწაულებზე ან ოფიციალურ ღონისძიებებზე იცვამენ.

მის მეუღლეს კი ეცვა ზურმუხტისფერი გრძელი კაბა, რომელიც ბრიტანელი დიზაინერის ჯენი პეკჰემის მიერაა შექმნილი. მიდლტონს ასევე ეკეთა შიფონის ყელსახვევი და პაკისტანური საიუველირო ბრენდის ონიტას მიერ დამზადებული საყურეები.

# პატიმრები ციხიდან ვისკისთვის გაიქცნენ და უკანვე დაბრუნდნენ



ამერიკის ტეხასის შტატის ფედერალურმა მარშლებმა და შერიფის სამმართველოს გამომძიებლებმა ოთხი პატიმარი დაიჭირეს, რომლებმაც რამდენჯერმე დატოვეს საპატიმრო და უკან კონტრაბანდით დაბრუნდნენ.

გავრცელებული ინფორმაციით, 34 წლის ჯულიან ლემუსი, 45 წლის რობერტ იანგი, 25 წლის ლეო მარტინეზი და 35 წლის სილვესტერ რიკო არაერთხელ გაქცეულან საპატიმრო კომპლექს ბომონტიდან და შემდეგ უკან კონტრაბანდული საქონლით დაბრუნებულან.

გაქცევის თაობაზე რამდენიმე შეტყობინების შემდეგ ხელისუფლების წარმომადგენლებმა კომპლექსზე თვალთვალი დააწესეს და რამდენიმე დღის წინ წესრიგის დამრღვევები დაიჭირეს. პოლიციელებისა და ფედერალური მარშლების დანახვაზე პატიმრებმა მიმალვა სცადეს, მაგრამ მათი მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა. მათ ვისკის ბოთლები და მობილური ტელეფონები ჩამოართვეს. სად მოახერხეს ამ საქონლის მოპოვება, ჯერჯერობით უცნობი რჩება.

# მამაკაცმა ნახევარი მილიონი ევრო კინაღამ ნაგვის ურნაში გადააგდო




ირლანდიის ქალაქ დუბლინის მცხოვრებმა ლატარიის მომგებიანი ბილეთი შეიძინა და კინაღამ ნაგვის ურნაში მოისროლა.

მამაკაცი იხსენებს, თუ როგორ შეიძინა 8 ოქტომბერს მისმა ქალიშვილმა ლატარიის ბილეთი და მას ევრომილიონის გათამაშებაში მონაწილეობა შესთავაზა.

— ჩემ ცხოვრებაში ლატარიაში არაფერი მომიგია, ამიტომ მეც იგივე ბილეთი ვიყიდე, რომელიც ჩემმა ქალიშვილმა შეიძინა, — ყვება ირლანდიელი, — მე ის საფულეში ჩავდე და მანამდე აღარც ამომიღია, სანამ დახლთან მდგომ გამყიდველს არ გავესაუბრე. მან მითხრა, რომ გათამაშების მთავარი ჯეკპოტი დიდი ბრიტანეთის მკვიდრს ჰქონდა მოგებული.

მან აღიარა, რომ უკვე ლატარიის ბილეთის გადაგდებას აპირებდა, რახან მთავარი პრიზი მას არ ერგო. მან ყოველი შემთხვევისთვის ავტომატში შეამოწმა ბილეთი და აღმოჩნდა, რომ ის 500 ათასი ევროს მფლობელი გახდა.

— მაშინვე ცოლს დავურეკე. ის სამსახურიდან ადრე დაბრუნდა და ჩვენ ერთად შევამოწმეთ მომგებიანი კომბინაცია, რა თქმა უნდა, ყველა ნომერი დაემთხვა! — განაცხადა ირლანდიელმა.

— საკუთარი წარმატების არ მჯერა. როგორც ჩანს, ახალბედებს მართლაც უმართლებთ. წარმოგიდგენიათ, ხომ შეიძლება მართლაც გადამეგდო ის ბილეთი? — გაკვირვებას ვერ მალავს მოგებული, — ჩვენ მოგების თაობაზე სულ რამდენიმე საათის წინ შევიტყვეთ და უკვე 500 ათასი ევროს ქვითარი გვიჭირავს ხელში. დაუჯერებელია.

ირლანდიელს ჯერ არ გადაუწყვეტია, თუ რაში დახარჯავს მოგებულ თანხას.

# რვა წლის მეთევზემ 314 კილოგრამიანი ზვიგენი დაიჭირა



ავსტრალიის ქალაქ სიდნეის სანაპირო წყლებში რვა წლის მეთევზემ 314 კილოგრამიანი ზვიგენი დაიჭირა.

ჯეიდენ მილაურო მამა ჯონათანთან და გემის კაპიტანთან ერთად სიდნეის სამხრეთ სანაპიროსთან თევზაობდა და უზარმაზარი ვეფხვისებური ზვიგენი დაიჭირა. ნაპირზე დაბრუნებულმა მეთევზეებმა შეიტყვეს, რომ დაჭერილი თევზი შესაძლოა რეკორდული აღმოჩენილიყო.

მილაურო თევზაობით ორი წლის ასაკიდანაა გატაცებული და აღიარა, რომ ეს ნანადირევი მისთვის უდიდესი მიღწევაა.

ადრინდელი რეკორდი მეთევზე იან ჰისეუს ეკუთვნოდა. 1997 წელს მან 312 კილოგრამიანი ვეფხვისებური ზვიგენი დაიჭირა და მისი მონაცემები საერთაშორისო ასოციაციაში დააფიქსირა, რომელიც თევზების კატეგორიაში რეკორდებს ადევნებს თვალს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა**. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას"); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**


# განცხადებები

### იყიდება

● იყიდება მსხმოიარე ვენახი 0,5 ჰექტარი, ვენახში არის ჩინურის, თავკვერის და ალადასტურის ჯიშის ყურძენი. თბილისიდან 35 წუთის სავალზე, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში. ნაკვეთთან ახლოს გადის გზა, წყალი, გაზი და სინათლე. გამოდგება მარნის მოსაწყობად. 1 კვ.მ ფასი 12 ლარი. ტელ: 593 127337; 593 515603.

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● დიაბეტური დაავადებების, ხერხემლის გამრუდების, ბავშვებში ბრტყელტერფიანობის, ყურებში შუილის, სმენის დაქვეითების მკურნალობა. მოგემსახურებათ გაეროს სერტიფიკატის მფლობელი ექიმი თამარ შავერდოვა. ტელ: 579-281-766.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამადანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი — სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების", მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# საქართველომ გიბრალტართან იწვალა



<u>გიბრალტარი-საქართველო 2:3</u>

**გიბრალტარი. ვიქტორია**

0:1 ხარაიშვილი (10), 0:2 კანკავა (20), 2:1 კასციარო (66), 2:2 რ.ჩიპოლინა (74), 2:3 ქვილითაია (84)

**გიბრალტარი:** გოდვილი, ჯ. ჩიპოლინა (ბარნეტი 82), სერგენტი, კასციარო, ბადრი (ერნანდესი 81), უოლკერი (პონსი 90), ოლივერო, რ. ჩიპოლინა, მოუელჰი, დე ბარი, ბრიტო

**საქართველო:** ლორია, კაკაბაძე, ხოჭოლავა, გრიგალავა, ნავალოვსკი (კვირკველია 90), კანკავა, ყაზაიშვილი, ანანიძე, შენგელია, ხარაიშვილი (კიტეიშვილი 61), ლობჟანიძე (ქვილითაია 68)

ევროპის 2020 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრები გიბრალტარს ესტუმრა და 3:2 დაამარცხა. ცუდი ანგარიშია... გუნდს, რომელსაც საშუალო ევროპულ დონესთან მიახლოების პრეტენზია გაქვს, გიბრალტარი პრობლემებს არ უნდა გიქმნიდეს.

მეტოქის დონისგან გამომდინარე, სასურველი იყო ბირთვთან ერთად რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი გამოგვეცადა, რომლებსაც ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის პრეტენზია აქვთ. ვლადიმირ ვაისმა ასეთი შანსი ლევან შენგელიას, გიორგი ხარაიშვილსა და ელგუჯა ლობჟანიძეს მისცა. დანარჩენები კი ვაისისთვის კარგად ნაცნობი შემადგენლობა იყო.

პირველი გოლიც იმ ფეხბურთელებმა შექმნეს, რომლებიც ოფიციალურ თამაშში პირველად მოხვდნენ ძირითად შემადგენლობაში – შენგელიას გამოზომილი პასის შემდეგ, ხარაიშვილი საჯარიმოში კარგად გაისარჯა და ანგარიში გახსნა.

პირველი ტაიმი ქართველების იყო. ბურთსაც მეტს ვაკონტროლებდით, მომენტიც შევქმენით, როდესაც იმავე ხარაიშვილს დუბლის შესრულება შეეძლო. და გოლიც გავიდა – ჯაბა კანკავამ შორიდან დააქუხა – 2:0.

მასპინძლები უსაქმოდ არ ყოფილან, მაგრამ სითამამე აკლდათ. ამიტომაც იყო, რომ გიორგი ლორიას საქმეში ჩართვა არ დასჭირვებია.

ტაიმიც ისე გაილია, რომ საგანგაშო არაფერი ჩანდა.

სამაგიეროდ, გიბრალტარი მე-2 ტაიმში გათამამდა და პრობლემებმაც იჩინა თავი. ლორიამ ჯერ უოლკერს აუღო, შემდეგ კი დე ბარიმ ცარიელ კარს ააცილა ბურთი. 68-ე წუთზე მაინც გაგვიტანეს – მასპინძელთა შეტევა კაშარომ ზუსტი დარტყმით დაასრულა.

გონს ვერ მოვეგეთ და 5 წუთში ანგარიში უკვე 2:2 იყო. და ეს გოლი ლოგიკურიც იყო. ლორიამ მოუელჰის შორიდან დარტყმული ურთულესი ბურთი მოიგერია. მეკარის გარჯას კუთხური მოჰყვა და ლორიამ ამჯერად სერგენტის დარტყმული მოიგერია, მაგრამ დამატებაზე როი ჩიპოლინამ ივარგა – 2:2.

საქართველოს ნაკრები ისტორიაში არცთუ სასიამოვნო ფაქტის ჩაწერის წინაშე დადგა, მაგრამ ვაისის გუნდი ქვილითაიამ იხსნა, რომელმაც შენგელიას საგოლე პასი შეირგო.

ჩვენივე ჯგუფში შვეიცარიამ მნიშვნელოვან მატჩში ირლანდიას უმასპინძლა და 2:0 დაამარცხა. ანგარიში სეფეროვიჩმა გახსნა. ირლანდია კი იბრძოდა, მაგრამ როდესაც მოედნიდან კულემანი გაუძევეს, რთულ მდგომარეობაში ჩავარდა. გაძევებას პენალტი მოჰყვა. მართალია, შვეიცარიამ ვერ გაიტანა, მაგრამ მატჩის ბოლოს მეტოქე წაეხმარა – დაფმა საკუთარ კარში გაიტანა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ირლანდია | 7 | 3 | 3 | 1 | 6:4 | 12 |
| 2.დანია | 6 | 3 | 3 | 0 | 16:5 | 12 |
| 3.შვეიცარია | 6 | 3 | 2 | 1 | 12:5 | 11 |
| 4.საქართველო | 7 | 2 | 2 | 3 | 7:10 | 8 |
| 5.გიბრალტარი | 6 | 0 | 0 | 6 | 2:19 | 0 |

# ბითაძის ჩინებული დებიუტი

## როგორც იქნა, ინდიანა პეისერსში გოგა ბითაძის დებიუტი შედგა!



თავის პირველივე მატჩში, მინესოტას წინააღმდეგ, ქართველი ცენტრი ინდიანელთა ბომბარდირი გახდა. მართალია, მატჩი საგამოფენო, წინასასეზონოდ მოსამზადებელი გახლდათ, თუმცა მთავარი აქ ისაა, რომ 20 წლის ახალგაზრდამ დაამტკიცა, რომ დიდი პოტენციალი აქვს. სადებიუტო მატჩში 14 ქულის ჩაგდება, როცა შენ წინააღმდეგ პლანეტის ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრი თამაშობს, გმირობის ტოლფასია.

მინესოტელთა შემადგენლობაში 27 წუთი ითამაშა კარლ ენტონი-თაუნსმა, რომელიც 33 ქულითა და 10 მოხსნით თავისი გუნდისა და მატჩის საუკეთესო მოთამაშე გახდა. ინდიანელთა ბომბარდირი კი გოგა ბითაძე იყო, რომელმაც 24 წუთში 14 ქულა, 4 მოხსნა, 2 პასი და 1 დაფარება მოაგროვა.

ბითაძე სასტარტო ხუთეულში არ ყოფილა. ის მოედანზე პირველი პერიოდის ბოლოს ინდიანელთა ძირითადი ცენტრის, მაილს ტერნერის ნაცვლად შევიდა. ქართველმა ცენტრმა პირველივე მიღებული პასი დაკარგა, თუმცა ამით გული არ გაიტეხა და ბრწყინვალედ ათამაშდა. ერთ წუთში გოგამ თავისი ნასროლი პირველივე 2-ქულიანი ჩააგდო. მეორე პერიოდის მე-4 წუთზე კი ბითაძემ ინდიანაში თავისი პირველი ბურთი ჩატენა, ხოლო პირველი არაზუსტი მცდელობის შემდეგ, ქართველმა ცენტრმა მე-3 პერიოდში 2 3-ქულიანი მიითვალა. მალე ბითაძემ თავისი კიდევ ერთი საფირმო ილეთი შესრულდა – ქართველმა ცენტრმა მინესოტელთა ერთ-ერთ ვარსკვლავს, ენდრიუ უიგინსს დაუფარა.

თამაშიდან ნასროლი 9 ბურთიდან გოგამ ჩააგდო: გოგამ 6-დან 4 ორქულიანი და 3-დან 2 სამიანი ჩააგდო. ერთადერთი მინუსი, რაც ბითაძეს ჰქონდა, 6-ჯერ დაკარგული ბურთია. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ბითაძემ ბევრი ითამაშა და ინდიანელთაგან ამ მხრივ მხოლოდ ედმონდ სამნერს (27 წუთი) ჩამორჩა. გოგამ პირველ ჯერზე ინდიანელთა ცენტრი შეცვალა, შემდეგ კი გუნდის მძიმე ფორვარდი თიჯეი ლეაფი მოედანზე ორჯერ ჩაანაცვლა.

მაილს ტერნერმა 17 წუთი ითამაშა და 8 ქულას და 2-2 მოხსნა-დაფარებას დასჯერდა. გოგას კიდევ ერთმა ძირითადმა კონკურენტმა დომანტას საბონისმაც 17 წუთი დაჰყო პარკეტზე და 11 ქულა, 13 მოხსნა და 2 პასი მიითვალა.

შეხვედრა კი მინესოტელთა გამარჯვებით – 119:111 დასრულდა.

მატჩის შემდეგ ინდიანა პეისერსის მთავარმა მწვრთნელმა ნეით მაკმილანმა ჟურნალისტების შეკითხვებს უპასუხა და, ბუნებრივია, ყურადღების ცენტრში გოგა ბითაძის დებიუტი იყო.

**ნეით მაკმილანი:**

– მნიშვნელოვანი იყო გოგას საქმეში ნახვა. ვხვდებოდით, რომ მისი მდგომარეობა პრობლემური საკითხი იქნებოდა. თავიდან არ ვაპირებდით, რომ 5-7 წუთზე მეტი გვეთამაშებინა ამ შეხვედრაში. გოგა და ჩვენ შეუთამაშებელი ვიყავით, მან ძალიან ბევრი ჩვენი კომბინაცია არ იცის და ამიტომაც მისი გამოყენების კუთხით შეზღუდულები ვიყავით. თუმცა, ძალიან სასიამოვნო იყო იმის ნახვა, რომ ის პარკეტზე შევიდა და ითამაშა.

კარლ ენტონი თაუნსთან ჭიდილი მთლად საუკეთესო ვარიანტი არ არის ნბა-ში დებიუტისთვის. თუმცა, მე მინდოდა, რომ გოგასთვის წუთები სწორედ თაუნსის წინააღმდეგ მიმეცა. თაუნსი ამ ლიგაში ძალიან მაღალი დონის „დიდი ბიჭია“. გოგას მის მსგავს მაღლებთან არასდროს უთამაშია. თაუნსი კარგად ატარებს ბურთს, კონტაქტში ძალისმიერად შედის, ისვრის პერიმეტრს შიგნიდანაც და გარედანაც. ამიტომ ბითაძისათვის ძალიან კარგი შანსი იყო ასეთი ტიპის კალათბურთელის წინააღმდეგ თამაში.

ბუნებრივია, ხარვეზები იყო, თუმცა მე იმით ვარ კმაყოფილი, რომ ბოლოსდაბოლოს გოგა პარკეტზე საქმეში ვიხილეთ. მას ძალიან კარგად შეუძლია სროლა, კარგი მეპასეა. მომთენი და რაციონალურია პერიმეტრიდან შეტევის დროს, კარგად იცავს ფარს. მართალია, თაუნსმა მასთან ორთაბრძოლისას ჩატენა, მაგრამ გოგას ამის არ ეშინია და დაფარებაზე მუდმივად მიდის. კარგად ისვრის სამიანს, შეტევაში ძალიან ეფექტიანია და მაილსის მსგავსად შეუძლია ფარის დაცვა.

გოგა სეზონის დაწყებამდე ფიზიკურად უფრო უნდა მომჯობინდეს, ისწავლოს ჩვენი კომბინაციები, ისწავლოს, თუ როგორია ჩვენი დაცვა. თუმცა, ეს ხომ პირველი თამაში იყო. მას ნბა-ში მოთამაშე მაღალი ბიჭების ტიპის კალათბურთელებთან თამაშის გამოცდილება არ აქვს. სეზონის პირველ სათამაშო დღეს დრამონდი და გრიფინი გვყავს მოწინააღმდეგედ, ხომ ხვდებით, რაზეა საუბარი. პირველ სეზონში ის წუთები, რასაც გოგა მიიღებს, იქნება მისი გაზრდისათვის, რათა შეეჩვიოს ნბა-ში თამაშს.

არა მგონია, რომ გოგა დებიუტის დროს ნერვიულობდა. უბრალოდ, ცოტათი გაკვირვებული იყო იმ ბიჭებით, ვის წინააღმდეგაც თამაშობდა. ყველაფერთან ერთად, მას ხომ თაუნსის წინააღმდეგ მოუწია დგომა. თუმცა, მისი დებიუტი ისეთი იყო, როგორსაც ველოდი: ცდილობდა გაერკვია, რა და როგორ ხდებოდა. ამასთანავე, უნდა ვთქვათ, რომ მას ძალიან კარგი 3-იანი აქვს და 2-ჯერ ზუსტად ისროლა. ჩვენ გვინდა, რომ მან ყოველთვის გააკეთოს ეს, როცა ამის საშუალება მიეცემა.

# 20 წლამდე მორაგბეთა ნაკრები მსოფლიოსთვის მზადებას იწყებს

უმცროსმა ბორჯღალოსნებმა 2020 წლის მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატისთვის მზადება დაიწყეს და მის ფარგლებში, დეკემბრის დასაწყისში, სამხრეთ აფრიკის ნაკრებთან თბილისში ორ მოსამზადებელ თამაშს გამართავენ.

ილია მაისურაძის, ლადო კილასონიასა და ზურაბ ამონაშვილის გაწვრთნილი გუნდი, 12-გუნდა ელიტაში 2016 წელს დაწინაურდა და გახდა პირველი ნაკრები, რომელმაც „ალაფიდან“ აღზევების წელსვე უძლიერესთა შორის ადგილი შეინარჩუნა. გაისად, იტალიაში, ჩვენი ნაკრები ზედიზედ მეხუთედ ითამაშებს 20-წლამდელთა ჩემპიონატში!

შეკრების შემდეგ, 20-წლამდელთა ნაკრების კანდიდატები ერთი კვირა დაისვენებენ, 21 ოქტომბრიდან კი, თბილისში მყოფ კონტინგენტს კვირაში 2 ვარჯიში ექნება. უმცროსი ბორჯღალოსნები მე-2 შეკრებაზე ნოემბრის ბოლოს შევლენ და სამხრეთ აფრიკის 19-წლამდელთა ნაკრებთან (2020 წლამდე საქართველოც და სამხრეთ აფრიკაც 19-წლამდელთა ნაკრებია) 2 მატჩს გამართავენ.

„უმცროსი ბოკეს“ სამწვრთნელო შტაბმა უკვე დაასახელა ის 30-კაციანი შემადგენლობა, რომლითაც ტურნეზე საქართველოში ჩამოვა. მათგან 6 ისეთი მორაგბეა, რომელმაც წელს არგენტინაში ითამაშა 20-წლამდელთა ჩემპიონატში და მე-3 ადგილი დაიკავა.



**ლადო კილასონია:**

– ვეცდებით, ნოემბრის ბოლოს ის ლეგიონერებიც დავიმატოთ, რომლებსაც ფრანგული კლუბები გამოუშვებენ. ამ პერიოდში საქართველოში სამხრეთ აფრიკის ნაკრები ჩამოვა, რომელთანაც 2 და 5 დეკემბერს 2 თამაში გვექნება. ეს იქნება ძალიან კარგი გამოცდილება როგორც ჩვენთვის, ასევე მორაგბეებისთვის. ისინი საკუთარი თვალით ნახავენ, თურასთან ექნებათ საქმე მსოფლიოს ჩემპიონატზე. მაქსიმალურად ვეცდებით, რომ ამ თამაშებში ყველა მორაგბეს მივცეთ თავის გამოჩენის შესაძლებლობა.

საგულისხმოა, რომ უმცროსი ბორჯღალოსნები სამხრეთაფრიკელ თანატოლებს მოსამზადებელ პერიოდში გასული ორი ჩემპიონატის წინაც ეთამაშნენ, ამჯერად კი აფრიკელები საქართველოში ჩამოვლენ და თამაშების პარალელურად, ქართულ კულტურასაც გაეცნობიან.

# შერმადინი ტენერიფეში საუკეთესოა



გიორგი შერმადინი ტენერიფეში ფანტასტიკურ თამაშს აგრძელებს. ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო მატჩებში მიღებული მვპ-ის ტიტულების შემდეგ, ქართველმა ცენტრმა ამჯერად საერთაშორისო ასპარეზზე გამოიჩინა თავი. ფიბა-ს ჩემპიონთა ლიგის გათამაშების პირველ ტურში შერმადინის იბეროსტარმა ტენერიფეში რუსულ ნიჟნი-ნოვგოროდს უმასპინძლა და ქართველი ცენტრის დიდებული თამაშის ხარჯზე 81:67 დაამარცხა.

შერმადინი სასტარტო ხუთეულში იყო და 24 წუთში 24 ქულა მოაგროვა. გიორგიმ 14-დან 9 2-ქულიანი და 7-დან 4 საჯარიმო ჩააგდო. ბომბარდირობასთან ერთად, შერმადინი უბადლო იყო 3-წამიანში და 9 მოხსნა მიითვალა. ამასთან, ქართველმა ცენტრმა 3 პასი და თითო ჩაჭრა-დაფარება მოაგროვა. გიორგის სარგებლიანობის ინდექსმა 29-ას უწია და ცხადია, ის მატჩის საუკეთესო მოთამაშე გახდა. ქართველ ცენტრს რუსთა ძლევაში ხელი მარსელიონიო უერტასმა შეაშველა, რომელმაც 13 ქულა ჩააგდო. 9-9 ქულა მიითვალეს საშუ სალინმა და დანი დიესმა.

წლევანდელ ჩემპიონთა ლიგაში 32 გუნდი ასპარეზობს, რომლებიც 4 ჯგუფში არიან განაწილებულნი. შერმადინის ტენერიფე იბეროსტარი ც ჯგუფშია ლატვიურ ვეფ-თან, ბერძნულ პერისტერისთან, ჩერნოგორიულ მორნართან, თურქულ გაზიანთეფთან, გერმანულ ბამბერგთან, ჩეხურ ნიმბურკთან და პირველ ტურში ძლეულ ნიჟნი-ნოვგოროდთან. შემდეგ ტურში შერმადინის გუნდი ჩერნოგორიაში მორნართან ითამაშებს.

რაც შეეხება ბერძნულ პერისტერის, რომელსაც საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცი ილიას ზუროსი წვრთნის, ამ კლუბმაც მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა პირველ ტურში. პერისტერელებმა თურქეთში გაზიანთეფი 70:64 დაამარცხეს.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. პიროტექნიკური ტკაცუნა; 2. ბრიტანული, ორსართულიანი სამგზავრო ავტობუსი; 3. მალარიის გამავრცელებელი კოღო; 4. ტრაგედია „ჰამლეტი“-ს პერსონაჟი; 5. ჭადრაკის პარტიის შუა ნაწილი; 10. ნაკვერჩხლებიანი ნაცარი; 11. იაპონელი კინორეჟისორი; 12. უმცროსი მეთაური გემზე, კაპიტნის თანაშემწე; 13. გამდნარი ლითონების მიერ აირების შთანთქმის ქიმიური პროცესი; 16. თაღლითი, რომელიც რაიმე საქმის სპეციალისტად ასაღებს თავს; 17. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 19. ბულგარეთის პირველი მეფე; 21. გერმანელი ფილოსოფოსი; 23. სამეჯლისო ცეკვა.

**თარაზულად:** 6. ბოკაჩოს რომანი; 7. ჩაის ფოთლებსა და ყავის მარცვლებში არსებული ალკალოიდი; 8. სისხლის შენადედი სისხლძარღვებში; 9. შეძენილი ჭკუასუსტობა; 14. მიწის სათხრელი მანქანა; 15. მშვიდობის მოყვარე, ომების მოწინააღმდეგე ადამიანი; 18. მამათა მონასტერი; 20. ორლოპოტიანი ნიჩბების სამართავი სპორტული ნავი; 22. შავი ზღვის ზვიგენი; 24. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 25. სპილენძის შემცველი მწვანე ხასხასა მინერალი; 26. ალექსანდრე ყაზბეგის რომანი.




*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჰუნდაი; 2. კერი; 3. კონსტანტა; 4. ზონდი; 5. სინდიყი; 8. ხამონი; 9. პარანგონი; 12. ბახალა; 14. არმაზი; 16. ატაშე.

**თარაზულად:** 1. ჰინდიკუში; 6. კოხინორი; 7. ნუსხური; 9. პრუსია; 10. რიფი; 11. პორტერი; 13. წყალი; 15. ლაზიკა; 17. ჰარლემი; 18. პანიკა; 19. აიაზმა; 20. შეგირდი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. მავრები; 2. ბაზილიკა; 3. ამპლიტუდა; 4. სვანეთი; 5. პარლამენტი; 10. დიბალა; 11. მაყრიონი; 12. შპიგელი; 13. კამბუზი; 16. ბატერფლაი; 17. ვოდევილი; 19. აშკენაზი; 21. ეკერი; 23. ამონი.

**თარაზულად:** 6. პალიასტომი; 7. ქვაწვია; 8. სესილი; 9. ფიტარეთი; 14. ლაშარელა; 15. ამირეჯიბი; 18. განჯა; 20. ნოკაუტი; 22. ქიაჩელი; 24. სკოპიე; 25. პლომბირი; 26. ვინილი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

17 ოქტომბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9663

ევრო — 3.2721

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.7788

100 რუსული რუბლი — 4.6078

## ამინდის პროგნოზი 17 ოქტომბერი






## 16 ოქტომბრიდან

გიორგი კოკოშაშვილი

**ქართული საბრძოლო ხელოვნება**

ჩვენი ღირსებანი

**ფასი გაზეთთან ერთად 18 ლარი**

## 5 ნოემბრიდან

საქართველოს ისტორია პატარებისთვის

**ბაზალეთისა ტბის ძირას**

წიგნი III

**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**



## ოპერის მომღერლები ნიქოზში კონცერტს გამართავენ



17 ოქტომბერს ნიქოზის საეპისკოპოსო სასახლეში, შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის ახალი ინიციატივის ფარგლებში, გაიმართება ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის ვარსკვლავების კონცერტი.

ნიქოზში გამყოფი ხაზის პირას მცხოვრები მოსახლეობისთვის კონცერტს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის ვარსკვლავებთან ერთად ახალგაზრდა მომღერლებიც გამართავენ.

მაყურებლის წინაშე წარდგებიან ოპერის თეატრის წამყვანი სოლისტები ვანიკო გალუაშვილი, თეა დემურიშვილი, სულხან გველესიანი, მარიკა მაჩიტიძე, გოჩა დათუსანი, ოთარ ჯორჯიკია, ხათუნა ჭოხონელიძე, არმაზ დარაშვილი, ირინა თაბორიძე, ვახტანგ ჯაშიაშვილი, მაკა ასპანიძე, ლევან მაკარიძე, გიორგი მოციქულაშვილი, დავით დარბაიძე, იოსებ დარბაიძე, რამაზ ჩიკვილაძე და ახალგაზრდა მომღერლები ლინა წიკლაური, ლევან თაბუკაშვილი, ნინა ქავთარაძე, ანა ხარაიძე, ქეთი პაპინაშვილი.

საღამოს კონცერტმაისტერები იქნებიან ირინა აივაზოვა, ქეთევან გელაშვილი და მაია რეხვიაშვილი.

– ყველაზე ეფექტური ზღუდე ოკუპაციის შესაკავებლად ეს არის ძლიერი სოფლები გამყოფი ხაზის გასწვრივ, ჩვენი ინიციატივა ამ საქმეში საზოგადოების ენერგიის ჩართვას ემსახურება, – აცხადებენ ღონისძიების ორგანიზატორები.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## იუმორი

ორნი საუბრობენ. ერთი მეორეს ეუბნება:

– ახლახან ჩვენთან ასეთი რამ მოხდა, პატარძალი ქორწილიდან პირდაპირ სამშობიაროში წაიყვანეს.

– ეგ რა არის, ჩვენთან კი სიძე ქორწილიდან სხვა ქორწილში წაიყვანეს.

●●●

ექიმთან მიღებაზე.

– ექიმო, გამიგია, რომ ისეთი ოპერაცია კეთდება, რომლის შემდეგაც ბავშვები აღარასოდეს მეყოლება. შეგიძლიათ ასეთი ოპერაცია გამიკეთოთ?

– ჩემო კარგო, ასეთი გადაწყვეტილებები ასე ადვილად არ მიიღება, დღეს აღარ გინდათ ბავშვები, ხვალ მოგინდებათ. ყველაფერი კარგად უნდა აწონ-დაწონოთ, ოჯახის წევრებს ჰკითხოთ...

– ამაზე უკვე ვიმსჯელეთ. კენჭისყრაც ჩავატარეთ – 2 წინააღმდეგია, 17 – თანახმა.

●●●

სომხეთის რადიოს ეკითხებიან:

– შეუძლია თუ არა ხელოვნურ ინტელექტს მუსიკის შექმნა?

– თუ თქვენ ასეთი კითხვა დაგებადათ, ე.ი. თქვენ რეპს არ უსმენთ.

●●●

სტუდენტი შვილი არდადეგებზე სოფელში მშობლებთან ჩასული მაცივრის კარს აღებს და ხედავს, შიგნით შიშველი ლამაზი ქალის დიდი ფოტოსურათია გაკრული. გაკვირვებული დედას ეკითხება:

– დედა, ეს რა არის?

– ეგ ფოტოსურათი მე მივაკარი, რომ ნაკლები ვჭამო.

– ეგ როგორ?

– მაცივრის კარს რომ ვაღებ, ფოტოსურათს ვუყურებ და ვფიქრობ, აი როგორი ფიგურა მინდა, რომ მქონდეს.

– და მერე, გშველის?

– ჰოც და არაც.

– ეგ როგორ?

– როგორ და მე წონაში ხუთი კილო დავიკელი, მაგრამ, სამაგიეროდ, მამაშენმა ათი კილო მოიმატა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## მოდრიჩი ელ კლასიკოს გამოტოვებს



მადრიდის რეალის ხორვატი ნახევარმცველი ლუკა მოდრიჩი ბარსელონას წინააღმდეგ შეხვედრას ტრავმის გამო გამოტოვებს.

მოდრიჩმა ტრავმა უელსის ნაკრების წინააღმდეგ შეხვედრაში მიიღო და ამ მიზეზით მას დაახლოებით ორი კვირა გაუცდება.

მოდრიჩის დაბრუნებას ნოემბრის დასაწყისში ვარაუდობენ. მოდრიჩმა სეზონის დასაწყისში უკვე გამოტოვა რამდენიმე შეხვედრა და შესაძლოა მისთვის ეს ტრავმა ქრონიკული გახდეს. ელ კლასიკო ბარსელონაში 26 ოქტომბერს ჩატარდება და მოდრიჩის არყოფნა რეალისთვის დიდი დანაკლისი იქნება.

## დანი ალვეში: „პარიზში ბევრი რასისტია“



ბრაზილიელმა მცველმა დანი ალვეშმა პარიზზე ისაუბრა და თქვა, რომ იქ ცხოვრება ძალიან სტრესულია.

ალვეშის აზრით, პარიზი ლამაზი ქალაქია, მაგრამ იქ ბევრი რასისტი ცხოვრობს, რაც ყველაფერს აფუჭებს:

– პარიზში რამდენიმე დღით ყოფნა ძალიან კარგია, მაგრამ თუ იქ ცხოვრობ, ეს ქალაქი უკვე ძალიან დამღლელი ხდება. გარდა ამისა, იქ ბევრი რასისტი ცხოვრობს, რომლებიც ზოგჯერ ჩემს მეგობრებს აწუხებდნენ, თუმცა ჩემთან ვერაფერს ბედავდნენ.

ალვეშმა პსჟ ზაფხულში დატოვა და სათამაშოდ ბრაზილიაში, კერძოდ კი, სან პაულოში დაბრუნდა.

## სერხიო აგუერო ავარიაში მოყვა



მანჩესტერ სიტის არგენტინელი ფორვარდი სერხიო აგუერო ავარიაში მოყვა, მაგრამ ფეხბურთელს ტრავმები არ მიუღია, მხოლოდ მისი მანქანა დაზიანდა.

აღსანიშნავია, რომ ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც აგუეროს ავარია მოსდის და 2 წლის წინ სერხიომ ტრავმაც მიიღო, რის გამოც შემდეგ 2 თვე მოედანზე არ გამოსულა. აგუერო ავარიის დროს ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ არ იმყოფებოდა.

## მანჩესტერ იუნაიტედმა ალეგრისთან დაიწყო მოლაპარაკება



მანჩესტერ იუნაიტედი სეზონის ცუდი სტარტის შემდეგ ახალ მწვრთნელს ეძებს და შესაძლოა სოლსკიაერი სულ მალე გაათავისუფლონ, თუ გუნდმა საკუთარ მოედანზე ლივერპულთან წააგო. იუნაიტედი მოლაპარაკებებს აწარმოებს იტალიელ სპეციალისტთან მასიმილიანო ალეგრისთან, რომელიც ზაფხულში იუვენტუსიდან წავიდა.

ალეგრი მზად არის, მანჩესტერ იუნაიტედს სათავეში ჩაუდგეს, მაგრამ მაღალ ხელფასს ითხოვს და მოლაპარაკებები გრძელდება.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## მოზარდმა მანქანა გაიტაცა და სხვისი ლამბორჯინი დაამტვრია



მოზარდმა მანქანა გაიტაცა და პოლიციის დევნისგან თავის დაღწევის მცდელობისას ლამბორჯინის შეეჯახა.

ინციდენტი ავსტრალიის ქალაქ პერტში მოხდა. 14 წლის ბიჭმა ავტომობილი სუბარუ ფორესტერი გაიტაცა. მალე პოლიციელებმა გატაცებული მანქანა ქალაქის ერთ-ერთ ქუჩაზე გაჩერებული შენიშნეს. მათ თავიანთი ავტომობილებით ის ალყაში მოაქციეს, მაგრამ როდესაც მანქანებიდან გადავიდნენ, რათა მოზარდი დაეკავებინათ, მან მანქანა დაძრა და წინ მდგომ პოლიციის მანქანას დააჯახა.

ამის შემდეგ მან გაქცევა სცადა და იმავე ქუჩის ბოლოში ყვითელი ფერის ლამბორჯინის მარკის სუპერკარს დაეჯახა, რომლის ღირებულება დაახლოებით 350 ათასი დოლარია.

მოზარდი, რომლის ვინაობა არ სახელდება, მანქანიდან გადმოხტა და ფეხით გაქცევა სცადა, მაგრამ მას პოლიციელები დაეწივნენ და დააპატიმრეს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## ასტროპროგნოზი



17 ოქტომბრისათვის

**ვერძი** – კომერციული საქმიანობა რეკომენდებული არ არის, დიდია მოტყუების ალბათობა. ენერგია დაზოგეთ. ერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას. ცდუნებას ნუ აჰყვებით. **კურო** – ერიდეთ უაზრო გარისკვასა და კომერციულ გარიგებებს. მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. **ტყუპები** – არაკეთილისმყოფელი, მძიმე დღეა. მიღებული ინფორმაცია აუცილებლად საგულდაგულოდ გადაამოწმეთ. საღამო ბუნებაში გაატარეთ. **კირჩხიბი** – კრიტიკული დღეა. სულიერ წონასწორობას უსიამოვნო ინფორმაცია დაგირღვევთ. თუმცა ეს მოდუნების საშუალებას არ მოგცემთ. სიტუაციას თამამი და გონივრული გადაწყვეტილების მეშვეობით გამოასწორებთ. **ლომი** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. სიჯიუტე და უხეშობა კონფლიქტამდე მიგიყვანთ. **ქალწული** – კარგი დღეა მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ნაცნობობის წრის გაფართოება თქვენი წარმატების საწინდარია. **სასწორი** – წინააღმდეგობრივი დღეა. განსაკუთრებით იღბლიანი პერიოდია მდედრობითი სქესის წარმომადგენელთათვის. თქვენი მომხიბვლელობა გარშემომყოფების აღფრთოვანებასა და სიმპათიას იწვევს. **ღრიანკალი** – აქტიური და შემოქმედებითი დღეა. დღეს უმართლებთ თეატრის სფეროში მომუშავეებს. მსხვილი შენაძენისგან თავი შეიკავეთ. **მშვილდოსანი** – ახალი საქმე თამამად დაიწყეთ და ბოლომდე მიიყვანეთ. სასიყვარულო ურთიერთობებში ინტუიციას მიენდეთ. **თხის რქა** – საყიდლებზე წასვლა იღბლიანი იქნება. მეგობრები ფინანსურად დაგეხმარებიან. გართობა რეკომენდებულია ზომიერების ფარგლებში. **მერწყული** – ფინანსური ოპერაციებისას სიფრთხილე და თავშეკავება გამოიჩინეთ. ზოგიერთი ნაცნობის მიმართ ქცევის შეცვლა მოგიწევთ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და უფრო რბილი და მოქნილი იყავით. **თევზები** – თუ გაწყენინეს, შურისძიებაზე არც იფიქროთ. კეთილშობილება და მიმტევებლობა საქმეს უფრო წაადგება. პროფესიულ საქმიანობაში ცვლილებებია მოსალოდნელი.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## „მხოლოდ ქართულის“ მესამე სეზონი იწყება




მუსიკალური გადაცემა „მხოლოდ ქართულის“ ახალი მესამე სეზონი იწყება.

პროექტი, რომელმაც ათასობით გულშემატკივარი გაიჩინა, ტელესივრცეს უახლოეს მომავალში დაუბრუნდება.

რიგით მესამე სეზონს მუსიკალური პროექტი „მხოლოდ ქართული“ „მთავარ არხზე“ გააგრძელებს.

პროექტის წამყვანები ილო ბეროშვილი, ვანიკო თარხნიშვილი და ნიკა გრიგოლია იქნებიან.

ჟიურის ვინაობა ამ ეტაპზე უცნობია.

## რუსთაველის თეატრის ყოფილი მსახიობი თინათინ სისაური გარდაიცვალა



რუსთაველის თეატრის ყოფილი მსახიობი თინათინ სისაური გარდაიცვალა.

სამწუხარო ინფორმაცია რუსთაველის თეატრმა გაავრცელა:

– რუსთაველის თეატრი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს რუსთაველის თეატრის ყოფილი მსახიობის, ქალბატონ თინათინ სისაურის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. უძველესი ქართული დამწერლობა; 2. გერმანელი მიკრობიოლოგი, ეპიდომოლოგიისა და ბექტეროლოგიის ფუძემდებელი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 3. ესპანეთის ლიგაში მოთამაშე საქართველოს ნაკრების კალათბურთელი; 4. ჟორჟ სიმენონის ნაწარმოებთა პერსონაჟი, დეტექტივი; 5. ჯაშუშის, მაბეზღარას ძველი სახელწოდება; 8. უღელტეხილი საქართველოში; 9. ფრენის სიმაღლის გასაზომი ხელსაწყო თვითმფრინავში; 12. იაპონური მოტოციკლეტი; 14. ფრანგი მხატვარი; 16. უბანი თბილისში.

**თარაზულად:** 1. წითელი ფერის ნახევრად ტკბილი ქართული სამარკო ღვინო; 6. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 7. ქალაქი, კანტონი, ტბა შვეიცარიაში; 9. ოქროს მწარმოებელი ფირმა საქართველოში; 10. კათოლიკური მღვდელმსახურება; 11. შაქრის შემცვლელი დიაბეტით დაავადებულთათვის; 13. ვარსკვლავთა კრებულის ძველი ქართული სახელწოდება; 15. უნგრელი ინჟინერი, პოპულარული თავსატეხის შემქმნელი; 17. ოპერის სიტყვიერი ტექსტი; 18. გამომშრალი უკურკო გარგარი; 19. ძალიან სწრაფი მუსიკალური ტემპი; 20. წმინდანად შერაცხული ქართველი მეფე.



*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*